საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

ხუთშაბათი, 23 დეკემბერი 1920 წ.

ერთობა

ფასი 20 მანეთი

გაზეთი ღირს თვეში 500 მანეთი. ცალკე ნომერი ყველგან 20 მანეთი, განცხადების ფასი პირველ გვერდზე პეტიტის სტრიქონი 20 მანეთი მეოთხე გვერდზე 15 მანეთი, სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის (10 × 2) 500 მანეთი. ნისიათ განცხადება არ დაიბეჭდება, რედაქცია და კანტორა იმყოფება ერთობის ქ. № 4, შესახვევი რუსთაველის ქუჩის № 18-თან, რედაქციის ტელეფონი 14—76, კანტორის 16—62

№ 293 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 293

ანასტასია თადეოზის ასული, გიორგი პავლეს ძე მეუღლით მარიამ ავგუსტის ასულით და ბავშვებით, ერეკლე პავლეს ძე მეუღლით თამარა ლევანის ასულით და ბავშვებით და მარიამ პავლეს ასული ბურჯანაძეები, ნინო პავლეს ასული აბესალაშვილისა შვილით დავითით და ეკატერინე პავლეს ასული ქუთათელაძისა გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას 17 ამ თვეს ქ. ბათომში საყვარელი და დაუვიწყარი ექიმ

თადეოზ პავლეს ძის ბურჯანაძისა

ცხედარი გადმოსვენებული იქნება სადგურიდან ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში. იქვე 22 დეკემბერს საღამოს 6 საათზე გადახდილ იქნება პანაშვიდი. წირვა და პანაშვიდი ხუთშაბათს 23 დეკემბერს დილის 10 საათზე დაკრძალვა იქვე. (4087—2—2)

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე ეკატერინა შარაშიძისა. შვილები მელიტონ, ისიდორე, დოროთე და დავით სიმონის ძენი შარაშიძენი, ქალები რებეკა და ნინა სიმონის ასულნი, სიძეები მიხეილ თედორაძე და კოლია მიქაძე, რძლები მეტია, ქეთევან და ალისა შარაშიძისანი; გულმოკლულნი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

დეკანოზ სიმონ შარაშიძისას

დაკრძალვა მოხდება 26 დეკემბერს, სოფელ ასკანაში მთის პირი. (4092—1—1)

თავზარდაცემული მეუღლე ალექსანდრე ყარამანის ძე, შვილები არჩილ, ირაკლი, რომან, მარუსა, რიურიკ და სონა ზაალიშვილები, დები ეკატერინე ანტონის ასული ძამელაშვილისა და ბარბარე ანტონის ასული დავითიშვილისა და დისწული ელისაბედ ილიას ასული მახვილაძისა მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასის და დაუვიწყარის

თეკლე ანტონის ასული ზაალიშვილის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება დღეს ხუთშაბათს, 23 დეკემბერს 10 საათზე, გუდაურის ქ. № 2. ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში, რომლის გალავანში მოხდება წირვის შემდეგ დაკრძალვა. (4093—1—1)

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი

შაბათს, 25 და კვირას, 26 დეკემბერს ქ. ტფილისში და რესპუბლიკის ყველა კუთხეში აწყობს „ფრონტის შობის ხეებს“. ტფილისში „შობის ხე“ იქნება სასახლის წინ ქუჩაზე, სადაც იქ დადგმულ ყუთებში მიიღება შემოწირულებანი ფრონტის საჭიროებისათვის, ამიტომ მოუწოდებთ რესპუბლიკის მოქალაქეთ, ყველა კლასისა და მდგომარეობის წარმომადგენელთა ყველა ეროვნებისას მიიტანონ შემოწირულებები რამდენიც და რაც შეუძლიათ; თეთრეულობა, თბილი ჩასაცმელი, წინდები, ხელთათმანები, თუთუნი, პაპიროსი, საპონი, ასანთი და სხვა შემოწირულებები კი მიიღება აგრეთვე ყოველ დღე სასახლეში ფრონტის მთავარი კომიტეტის კანცელარიაში.

(4098—1—1) ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი.

სახელმწიფო დრამის თეატრი

ქართული დრამის სეზონი 1920—1921 წ.

ხუთშაბათს, დეკემბრის 23-ს

პირველად პრემიერა

ანტიგონე

ტრაგედია სოფოკლესი. მუსიკა მენდელსონისა, დეკორაციები მხატვარ ვლ. სიდამონ-ერისთავისა. სიმფონიური ორკესტრი ალ. გველესიანის ლოტბარობით. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

ხუთშაბათს, 1921 წლის იანვრის 6-ს

პირველად **მარიამ მაგდალინელი**

ვლად. ალექსი მესხიშვილის მიზანსცენებით. ბილეთები კასაში. (ნ. 2—2)

სასადილო „იმედის“

გამგეობა აცნობებს პატივცემულ საზოგადოებას რომ სამზარეულოს შეკეთების შემდეგ ისევ, ახლად იხსნება სასადილო 21 დეკემბერს გამოცდილი კულინარის ხელმძღვანელობით. სადილი შუადღის 1—5 საათამდე, ჩაი, კაკაო, ყავა, რძე საუზმე დილიდან. (4077—2—2)

მეოთხე რაიონული კოლექტივი

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს, საღ. 7 საათზე, ვერის მუშათა კლუბის დარბაზში იწვევს პარტიის წევრთა

საზოგადო კრებას

დღიური წესრიგი: პოლიტიკური მომენტი. მოხსენებას გააკეთებს ამხანაგი გრ. ლორთქიფანიძე. (1—1)

სახელმწიფო ოპერა

ხუთშაბათს, 23 დეკემბერს

სიმფონიური კონცერტი

ქ. ბოროვსკის და ე. ია. ბელოუსოვის მონაწილეობით. პროგრამაში: შუბერტი დაუმთავრებელი სიმფონია, რუბენშტეინი—სონატა ფორტეპიანოსა და ვიოლონჩელზე. რახმანინოვი—მეორე კონცერტი ფორტეპიანო და ორკესტრისა. დასაწყისი 8 საათზე. (ნ. 1—1)

ქალაქ ტფილისის სახლის პატრონთა საყურადღებოთ

ფილისის ქალაქის თვითმართველობის გამგეობა აცხადებს, რომ სამისამართო ბიუროს დებულების § 6 თანახმად 1-ლ იანვრიდან 1921 წ. ყველა ძველი საბინაო დავთრები შეცვლილი უნდა იქმნეს ახლებზედ. სიადვილისათვის დავთრები იყიდება კომისარიატებში ბარათების მიმღებთა ოთახებში. სახლის პატრონთ ევალებათ უსათუოდ შეიძინონ საბინაო დავთრები მიმდინარე წლის 28 დეკემბრამდის და 1-ლ იანვარს დამზადებული და შევსებული მიიტანონ კომისარიატებში შესამოწმებლად.

(4097—1—1) გამგეობა.

ქუთაისში

იყიდება ქვითკირის სახლი

ივანოვის და გენერლის ქუჩების კუთხეზე № 35, ცნობების მიღება შეიძლება იქვე. (4066—2—2)

მომარაგების მინისტრის მოხსენება

მესამე სხდომას ანდომებს დამფუძნებელი კრება მთავრობის პოლიტიკის განხილვას. ოპოზიციის მთავარი იერიშები მომარაგების სამინისტროზეა მიტანილი—ის ადვილი ასახსნელიც არის. იმ კრიზისში, რომელსაც ჩვენი სახელმწიფო განიცდის, მომარაგების სამინისტროს უპირველესი მნიშვნელობა ეძლევა. ამ სამინისტროსადმი ყურადღებას აძლიერებს კიდევ ის გარემოება, რომ აქამდის მას არ ჰქონია შემთხვევა და შესაძლებლობა გაეცნო ფართო საზოგადოებისათვის თავისი ნამოქმედარი და თავისი სამოქმედო ხაზი. ეს საშუალებას აძლევდა ოპოზიციას ყოველნაირი ხმები ევრცელებინა ამ სამინისტროს მოღვაწეობის შესახებ და მისი საქმიანობა საზოგადოებისთვის ყალბ შუქში გაენათებინა. დღეს, თავის მოღვაწეობის ერთი წლის შემდეგ, მომარაგების სამინისტროს საშუალება ეძლევა დაწვრილებითი ანგარიში წარუდგინოს მთელს საზოგადოებას და დამფუძნებელ კრებას თავის ნამოქმედარის შესახებ. ვრცელი სიტყვა, რომელიც წარმოსთქვა დამფ. კრების 21 დეკემბრის სხდომაზე მომარაგების მინისტრმა ერაძემ, დიდი ყურადღების ღირსია, რადგან მასში გამოსჭვივის მთელი ჩვენი მთავრობის პოლიტიკის მთავარი ხაზი.

მომარაგების მინისტრმა დასაბუთებული პასუხი გასცა ყველა იმ გამოსვლებზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი ოპოზიციური პარტიების და სხვადასხვა ჯგუფების მხრით, დაწყებული ნაციონალისტების „მიწიდან“, სპეკულიანტების „საქართველოდან“ და გათავებული „ახალ სხივის“ გარშემო შეკრებილი „შინაური ოპოზიციით“. მინისტრს ჯერ არ დაუთავებია თავისი სიტყვა მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც მან უკვე წარმოსთქვა, საკმაო მასალაა დაგროვილი მომარაგების სამინისტროს საქმიანობის ასაწონ-დასაწონად.

მინისტრმა სიტყვის დასაწყისშივე სწორი თვალსაზრისი მისცა ოპოზიციას საერთოდ ჩვენი მდგომარეობის დასაფასებლად. შეუწყნარებელია და მიუღებელი, როდესაც ან მთავრობის, ან რომელიმე სამინისტროს, ან ცალკე დაწესებულების ნამოქმედარს აფასებენ განყენებულად, როდესაც ამისთვის არა გაქვს არავითარი გარკვეული საზომი. ამ ნამოქმედარის სამართლიანი დაფასება შესაძლებელია მხოლოდ შედარებითი მეთოდით. რა გვქონდა და რა გვაქვს? აი ის ერთად-ერთი გზა, რომელიც შეძლებას მოგვცემს სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ იმის შესახებ, უარყოფითი იყო თუ დადებითი, დასაწუნი, თუ მოსაწონი ამა თუ იმ დაწესებულების საქმიანობა.

მომარაგების სამინისტრომ ერთი წლის წინათ დაიწყო თავისი მოქმედება ცარიელი ხელით: მას არ ჰქონდა არავითარი აპარატი, რომლის საშუალებითაც უნდა ემოქმედნა; მას არ ჰქონდა არავითარი ფინანსიური შეძლება, არავითარი სურსათ-სანოვაგე. იგი დაარსდა იმ დროს, როდესაც საქართველო მძაფრი ბლოკადის პირობებში იმყოფებოდა, როდესაც საზღვარ-გარეთიდან შემთხვევით თუ შემოვიდოდა რაიმე საქონელი. იგი დაარსდა მაშინ, როდესაც მოუსავლობის გამო საქართველოს ტერიტორიის ნახევარზე მეტი დამშეული იყო და როდესაც საქართველოს მეზობელი სახელმწიფო (სომხეთი) შიმშილით სულს ძლივს ღა ღაფავდა და ამიტომ ვერავითარი ძალა, ვერავითარი დამოჯენა ვერ მოსპობდა საქართველოდან პურის გატანას. მაშასადამე სამინისტროს, შეიძლება ვთქვათ, არაფრისაგან უნდა შეექმნა ყველაფერი: მას უნდა შეექმნა სათანადო აპარატი, უნდა შეემუშავებინა სამოქმედო გეგმა, უნდა ეშოვა ფინანსიური საშუალებები, უნდა მოეპოვა კრედიტი და, რაც უმთავრესია, ყველაფერი ეს უნდა მოეხერხებინა უმძაფრესი კრიზისის პროცესში. მინისტრის მოხსენებამ გადაგვიშალა უკვე განვლილი ერთი წლის საშინელი სურათი და როდესაც მან დამფუძნებელი კრება უკან მოახედა, როდესაც ჩაახედა იგი ფართო საზოგადოებისათვის უჩინარ წვრილმანებში, ყველამ აშკარად დაინახა რა დიდი საფრთხე აგვცილებია თავიდან, როგორ ხშირად ვყოფილვართ დანგრევის პირზე მიმდგარი, რამდენჯერ ყოფილა ჩვენი ჯარი და გვარდია იმ პირობებში, როდესაც მათი არსებობა ბეწვზე ყოფილა დამოკიდებული. რამდენჯერ კარზე გვყოლია მომდგარი შიმშილით სიკვდილი და როგორის მოხერხებით გადაურჩენია მისგან ჩვენი ქვეყანა მომარაგების სამინისტროს.

ხშირად გაიგონებთ საყვედურს, ვითომც მომარაგების სამინისტროს არ ჰქონდეს გარკვეული სამოქმედო გეგმა. მინისტრმა გადაუშალა დამფუძნებელ კრებას ეს გეგმა. ფართო საზოგადოება, მთელი ჩვენი ხალხი დარწმუნდება, რომ ეს ერთად-ერთი შესაძლებელი გეგმაა ჩვენი ქვეყნის დღევანდელ პირობებში და სავსებით არის შეფარდებული დემოკრატიის ინტერესებთან. დემოკრატიული სახელმწიფო აწარმოებს ისეთს სასურსათო და საზოგადოთ, ეკონომიურ პოლიტიკას, რომელიც რაც შეიძლება მეტად წასწევს ხალხის კეთილდღეობას, კულტურულ-ეკონომიურ მომავლობას. **ფართო თავისუფლება კერძო ინიციატივას იქ, სადაც იგი ქმნის ახალს რეალურს ღირებულებას; მისი აღკვეთა იქ, სადაც იგი გამოდის ხალხის მუქთა ჭამელის როლში; ფართო გზის მიცემა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი წამოწყებისა და ალებ-მიცემობისათვის**—ასეთია ამ პროგრამის დედა აზრი. და მომარაგების მინისტრის მოხსენებიდან მთელი ჩვენი ხალხი დაინახავს, თუ რა სიმტკიცით და რა დაჟინებით ადგა ამ გზას მისი სამინისტრო, რა დიდი ნაყოფი გამოიღო მისმა საქმიანობამ ამ გზაზე და როგორი დამღუპველი და მომაკვდინებელი იქნებოდა ჩვენი ქვეყნის დღევანდელ პირობებში სხვა გზის არჩევა.

ერაძის მოხსენება ახალი სიტყვა, ახალი გაშუქებაა ჩვენი მთავრობის პოლიტიკისა. ჩვენთვის ამიერიდან უფრო ნათელი ხდება მიზეზი იმ გაბოროტებულ იერიშებისა, რომელიც მოაქვთ სწორეთ ამ სამინისტროზე სპეკულიაციაში გაბმულ ჯგუფებს და იმათ, ვინც შეგნებული სპეკულიანტების ხელში შეუგნებელ იარაღად გადაქცეულან.

ჩვენ არ გვინდა მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, ვითომც ჩვენ ყოველმხრივ კმაყოფილი ვიყოთ მომარაგების სამინისტროს მოქმედებით, ვითომც ჩვენ ვერ ვხედავდეთ მის შეცდომებს. შეცდომებს (და დიდს შეცდომებსაც) ჰქონდა ადგილი, ამას თვით მინისტრი საქვეყნოდ აღიარებს. ჩვენ გვინდა მხოლოდ ერთი რამ: მომარაგების სამინისტროს ერთი წლის ნამოქმედარის დაფასების დროს ვიხელმძღვანელოთ ერთად ერთი სწორი შედარებითი მეთოდით; რა მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა ამ სამინისტრომდის? რა პირობებში უხდებოდა მოღვაწეობა ამ სამინისტროს? რა მდგომარეობა გვექნებოდა დღეს, რომ ეს სამინისტრო არ გვყოლოდა და რომ იგი არ მდგარიყო იმ გზაზე, რომელზედაც იდგა.

სასტიკი კრიზისი გვადგია თავს; იგი დიდს სადემაგოგიო მასალას აძლევს ჩვენი ქვეყნის მტრებს ხალხის უკმაყოფილების გასაძლიერებლად. მაგრამ ყოველმა შეგნებულმა მოქალაქემ ჩვენი მთავრობის და კერძოთ მომარაგების სამინისტროს მოქმედების დაფასების დროს, მხოლოდ ზემოაღნიშნული შედარებითი მეთოდი უნდა იშველიოს.

მემარცხენე პურიშკევიჩები

დამფუძნებელ კრებაში გაჩნდენ მემარცხენე პურიშკევიჩები. ეს გახლავთ ესერების ფრაქცია. ამ ფრაქციამ ისე აიწყვიტა, აიშვა თავი, რომ ისინი პირისპირ იმეორებენ და შეითვისეს რუსეთის ცნობილი შავრაზმელი პურიშკევიჩის ზნე-ჩვეულება და ლექსიკონი. მათ შემოიტანეს დამფუძნებელ კრებაში ისეთი დაბალი ხარისხის ზნე-ჩვეულება, რომელიც ამცირებს და სახელს უტეხს ჩვენი ხალხის ამ უზენაეს ორგანოს. ქუჩური ლანძღვა-გინება და წარა-მარა ათასგვარი ბრალების წამოძახება პროფესიათ გაიხადეს და ჰგონიათ, რომ ამით თავის უდიდეს რევოლუციონერობას დაამტკიცებენ! ამ უბედურმა „სოციალისტებმა“ ჯერ დაიწყეს მთავრობის და მისი წევრების გინება უშვერი სიტყვებით ტრიბუნიდან და ადგილებიდან. შემდეგ გადავიდენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე, გუშინ კი „მაუზერისტებათ“ მონათლეს ჩვენი სახელოვანი გვარდია, ის გვარდია, რომლის წყალობით ბატონი ლორთქიფანიძეები და შენგელაიები ასე არხეინათ გრძნობენ თავს დამფუძნებელ კრებაში; რომლის სისხლით და ოფლით მოპოვებულია თვით ის დარბაზი, რომლის სკამებიდან დღეს მას „მაუზერისტებათ“ ნათლავენ!

დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყანა განსაცდელის წინაშე დგას; დღეს, როდესაც ამ განსაცდელის ასაცდენათ ჩვენი გვარდია თოფით ხელში საზღვარზე დგას; დღეს, როდესაც ამ სასტიკ ყინვებში გვარდია ჩვენი ქვეყნის დაცვის საგუშაგოებზე ღამეებს და ათენებს; დღეს, როცა მან არც კი იცის დაბრუნდება თუ არა შინ ცოცხალი, გამოდიან ბ.ბ. ესერები და მას „მაუზერისტებათ“ ნათლავენ! ამაზე მეტი თავგასულობა, ამაზე მეტი თავხედობა, ამაზე მეტი, თუ გნებავთ, ღალატი ქვეყნის და ხალხის წინაშე ძნელათ წარმოსადგენია! და საკვირველი ისაა, რომ ბატონი ესერები ბედავენ ყოველივე ამის ჩადენას იმ დაწესებულებაში, სადაც ცხრა მეათედი მაინც სოციალ-დემოკრატი დეპუტატებია! ცხადია, ჩვენი ფრაქცია ისე დამბლა დაცემულათ ეჩვენებათ ბატონ ესერებს, რომ მათ შესაძლებლათ მიაჩნიათ ასე გატიტვლებული არხეინათ ისეირონ ჩვენი მთავრობის, ჩვენი პარტიის, ჩვენი გვარდიის მიმართ!

ჩვენი ფრაქცია მოვალეა საზღვარი დაუდოს ესერების ამ თავგასულობას, თუ არ უნდა, რომ ისიც მონაწილე გახდეს დამფუძნებელი კრების პრესტიჟის დაცემაში და ყველა იმ სისაძაგლეში, რომელსაც სჩადის ესერების ფრაქცია.

განი.

რას აწვალებენ ბავშვებს?

ჩვენს სკოლებში განსაცვიფრებელი ამბები ხდება. უშეშობის გამო სკოლები ვერ თბება. ბავშვები ცუდათაა ჩაცმული და ამ დიდი სიცივეების დროს ბევრი სკოლაში ვერ დადის. ხშირათ ნახევარზე მეტი აკლდება სწავლას, გაყინულ ოთახებში სკოლაში მოსიარულე მეორე ნახევარსაც ვერ ასწავლიან ხეირიანათ. სხვები რომ არ ჩამორჩნენ, მასწავლებლები ცოტა გაკვეთილებს აძლევენ.

ამას არ სჯობდა განა ამ ყინვებში ერთი თვით ან თვენახევრით სულ შეეწყვეტათ სწავლა და სამაგიეროთ კანიკულებისათვის მოეკლოთ ცოტა? ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რასაც ახლანდელ პირობებში ორ თვეში ისწავლიან ბავშვები, იმას თბილ დარში 15 დღეს შეიძენენ. მოიგებდა სწავლის საქმე და ბავშვებიც გადარჩებოდა იმ წვალებას, რომელსაც ეხლა განიცდიან სკოლაში სიარულით.

ჩვენ გვიკვირს, რათ არ აქცევს ამ გარემოებას ყურადღებას სამოსწავლო უწყება?

ი.

კომუნისტურ სამოთხეში

IV

მოგეხსენებათ, კომუნისტებს თავის თავი წვრილ ერთა დამცველათ მოაქვთ. ჩვენ ვიცით, რა დაპირებებით გამოდიოდნენ ისინი, სანამ ძალა-უფლებას ხელში ჩაიგდებდნენ. მარა გაბატონდნენ თუ არა ის, დაიწყეს დევნა და შევიწროება პატარა ერებისა. სადაც არ შედგეს ფეხი ბოლშევიკებმა, ყველგან გაამეფეს ხიშტი და ძალ-მომრეობა და წვრილ ერებს წაართვეს არა თუ დამოუკიდებლობა, არამედ უბრალო თვითმართველობის უფლებაც კი.

ყველამ იცის რა დღე დააყენეს კომუნისტებმა აზერბეიჯანს და როგორ იქცევიან ამ ჟამათ სომხეთში. ამ რესპუბლიკათა დამოუკიდებლობისაგან ახლა სხოლოდ მოგონებაღა დარჩა.

ხანდისხან ბოლშევიკებს ავიწყდებათ, რომ ისინი ოდესღაც სოციალისტები იყვნენ და როგორც ასეთები წვრილ ერთა უფლებას უნდა იცავდნენ და გულახდილათ აღიარებენ, რომ ერთა თავისუფლება მათთვის ზედმეტი ბარგია. აი რას სწერს კავკასიელი „კომუნისტი“ ორგანო იმ კუთხისა, სადაც წვრილ ერთა საკითხი ძლიერ მწვავეთ დგას:

„ყველა გუშინდელი ფარული თუ აშკარა მტრები ხალხისა, ვისაც კი არ ეზარება, გაიძახიან, რომ საბჭოთა მთავრობამ „გაიმეორა თავისი შეცდომა, მან არ მისცა საშუალება მთიელთა ხალხს თვითგამორკვევისა, არამედ ზევიდან დაუნიშნა ადმინისტრატორები და უარესი წესები გაამეფა, ვიდრე ეს იყო ცარიზმის დროსო.

რასაკვირველია, ამას ამბობს ან გაბოროტებული კონტრ-რევოლუციონერი, რომელიც „ხალხთა თვითგამორკვევაში“ ხედავს თავის ხსნას, ამ ბურჟუაზიის უკანასკნელ იმედში, ან და ამას იტყვის ბოროტი იდიოტი, რომელსაც ვერ შეუგნია საბჭოთა აღმაშენებლობა. ბურჟუაზიულ რევოლუციის პერიოდში 1917 წ. ჩვენთვის „ხალხთა თვითგამორკვევის“ პრინციპი იყო ლოზუნგი, რომელიც შეეფერებოდა მომენტს, რათა ამით დაგვენგრია მეფის მებატონეთა სახელმწიფო, დაგვენგრია მისი ცენტრალიზმი და შეგვეკუმშებინა ტემპი.

მაგრამ ეს ლოზუნგი იყო მიუღებელი, როგორც კადეტისათვის, აგრეთვე მენშევიკების და ესერებისათვის, რომლებიც ებღაუჭებოდნენ ბურჟუაზიულ ცენტრალიზმს“ („კავკავის კომუნისტი“ № 38)

ასეთი ხალხი, რასაკვირველია, არავის და არაფერს მოერიდება. ამის საუკეთესო ილიუსტრაციას წარმოადგენს ის, რასაც მოიმოქმედეს ბოლშევიკებმა თურქესტანში. აქაც ჩვენ ბოლშევიკები ვალაპარაკოთ თავის ნამოქმედარის შესახებ. „პრავდის“ მე-162 ნომერში გ. საფაროვი მოგვითხრობს იმ ამბებს, რომელიც წითელ არმიელებმა და საბჭოთა ძალა-უფლების მატარებლებმა ჩაიდინეს თურქესტანში. ის აღნიშნავს, რომ რუსეთის ძველი მთავრობა სდევნიდა ადგილობრივ ტომებს,ართმევდა მათ მიწებს და მათ მაგიერ ასახლებდა რუსებს და სხვ.

როგორ იქცევიან ახლა ბოლშევიკები?

მოვუსმინოთ საფაროვს: „თურქესტანში საბჭოთა ძალა-უფლება და კომუნისტური პარტია არ წარმოშობილა მასიურ, ინტერნაციონალურ კლასიურ ბრძოლის პროცესში. ყველა ეს იყო მხოლოდ რუსეთის რევოლუციის შედეგი. ამისთვის ბუნებრივათ, ისტორიულათ შექმნილ პირობების გამო საბჭოთა მმართველობა და კომუნისტური პარტიაში მუშაობა წილად ხვდა მხოლოდ „რჩეულ“ რუსთა ნაციას და მის ამყოლებს. პარტიაში და საბჭოთა დროშის ქვეშ დადგა თვით მეფის ჩინოვნიკიც, რომელმაც ბოლო ბოლო მომენტს და უკაცობის ხანაში, პროლეტართა მასის მეტისმეტი სისუსტის გამო, „თავის ადგილას“ აღმოჩნდა. პარტიაში მოხვდა სემირეჩინის „კულაკი“, რომ რეკვიზიციის, კონფისკაციის და კლასთა ბრძოლის ფორმით გაატაროს ძველი თავისი მტაცებლური პოლიტიკა. პარტიაშივე მოვიდა ქალაქის ობივატელი, რომელმაც გადასწყვიტა, რომ რევოლუცია ნიშნავს შინაურ საზოგადოებრივ ძალთა გადაჯგუფებას გაბატონებულ ერში, ხოლო მისთვის ყველა რუსულ ძალა-უფლებაზე საუკეთესოა საბჭოთა ძალა-უფლება. ამ „ნაციონალურ“ ელემენტებისათვის მოინახა აგრეთვე შესაფერი იდეოლოგია: საბჭოთა ძალა-უფლება არის პროლეტარიატის დიქტატურა, ხოლო თურქესტანში პროლეტარები მხოლოდ რუსებია, მაშასადამე... მაშასადამე კონფისკაცია და რეკვიზიცია მოუხდინეთ „დანარჩენ ერებს“.

რა მოყვა კომუნისტების ასეთ პოლიტიკას?

საფაროვი ამბობს: „ტალღამ მხეცურ უაზრო „წითელ გვარდიელობისა“ წმინდა მახნოს ტიპისა, გადააჯირგალა თურქესტანი. სანამდე მიგვიყვანა მერე ამან, ამაზე ლაპარაკობენ ფაქტები: 1917—18 წლების შიმშილის დროს ამოწყდნენ ერთი მილიონი კირგიზები, ხოლო ცოცხლად გადარჩენილები ამ დროს სჭამდენ ლეშს, ყოველგვარ ნასუფრალს და, იყო შემთხვევები, სჭამდენ ადამიანის ხორცსაც“.

აი რა მოაქვს არარუსთათვის კომუნისტურ სოციალიზმს! მეფის რეჟიმის დანაშაულობანი და სისასტიკე მონაგონი არ არის იმასთან, რასაც კომუნისტები სჩადიან.

თურქესტანის ტრაღედიამ ბაქოში მომხდარ აღმოსავლეთის ხალხთა ყრილობაზედაც ამოყო თავი. აი რა ცნობას იძლევა ამის შესახებ კომუნისტური „აზერბეიჯანსკაია ბედნოტა“ (№ 36).

„დიდი ხმაურობა გამოიწვია თურქესტანის უპარტიო დელეგატის სიტყვამ ყრილობის მესამე სხდომაზე. მან გაკიცხა საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლობის მოქმედება თურქესტანში; აღნიშნა მათი უტაქტო მოქმედება, რომლითაც ისინი აშორებენ საბჭოთა მთავრობას მაჰმადიანებსაო. შემდეგ თურქესტანის დელეგატი ამბობს: საბჭოთა მთავრობის ბევრი წარმომადგენელნი

დღეს

რუსეთსა და პოლონეთს შორის საზავო მოლაპარაკება იანვრის შუა რიცხვებში დასრულდება.

ფრანგული ცნობით თურქესტანში მღელვარება დაწყებულა ბოლშევიკების წინააღმდეგ.

ისპანიაში არჩევნები ნორმალურად მიმდინარეობს. ბარსელონაში გაიმარჯვეს ნაციონალისტებმა, მადრიდში—მონარქისტებმა.

მეფე კონსტანტინეს ათინაში მისვლის გამო თავიანთი საელჩოები დასტოვეს არა მარტო საფრანგეთის, ინგლისის და იტალიის ელჩებმა, არამედ—შეერთებულ შტატების, ბრაზილიის, ბელგიის, პოლონეთის და სერბიის წარმომადგენლებმაც.

ბრძანება სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა.

ა/წ. 10 დეკემბერს გამოქვეყნებულ ბრძანების დამატებით ვაცხადებთ: 1) შრომის ბეგარა გავრცელდეს ყველა მოქალაქეზე 18—45 წ-ამდე. 2) შრომის ბეგარის კომისიას უფლება ეძლევა იმ მოქალაქეთ, რომლებიც გაურბიან შრომის ბეგარას, სხვა რეპრესიათა შორის, დააკისროს ზედმეტი მუშაობა. (სდს).

თავის მოქმედებით კოლონიზატორები არიან, ეროვნულ შუღლს სთესენ ხალხში და მას აშიოებენ საბჭოთა მთავრობას. ამ ორატორის სიტყვის შემდეგ ლაპარაკის დრო ყრილობის პრეზიდიუმმა განსაზღვრა".

ასეთია ბოლშევიზმი ყველგან და ყველა სფეროში. ის არის არა სოციალიზმი და მუშათა კლასის ბატონობის განხორციელება, არამედ წარმოადგენს ძალმომრეობას, ნაციონალიზმის, ჩაგვრისა და ბოროტების რეჟიმს.

ამ რეჟიმის გამეფებას ურჩევენ ჩვენებური კომუნისტები საქართველოში ჩვენს მშრომელ ხალხს!

ეს სისხლიანი რეჟიმი გამოაქვთ მათ მუშათა კლასის სატრფიალო საგნათ!

სიყალბე და ცბიერება ბოლშევიკების თანდაყოლილი თვისებაა და ისინი ამას დღეს ჩვენში იმეორებენ. ი.

დამფუძნებელი კრება

21 დეკემბრის სხდომა.

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

ქრ. შარაშიძის ასულის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტისა ფოსტა-ტელეგრაფის შინაგანი კორესპონდენციის ნიხრის გადიდების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საბურთალოზე არსებულ რადიო-სადგურის საჭიროებისათვის კერძო პირთაგან ჩამორთმეულ უძრავი ქონების საფასურად 867,501 მან. გადადების შესახებ.

მ. რუხაძის მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი რესპუბლიკის ქალაქთა მილიციის შესანახი ხარჯის 75 პროცენტის ხაზინის მიერ ანაზღაურების შესახებ.

ნ. იმნაიშვილის მოხსენებით მოხდა ზოგადი განხილვა კანონ-პროექტისა ქ. ახალციხეში სამხედრო სამინისტროს სასურსათო მაღაზიის დაარსების შესახებ.

ამის შემდეგ დამფუძნებელი კრება განაგრძობს მსჯელობას მთავრობის განცხადების გამო მთავრობაში მომხდარ ზოგიერთი ცვლილების შესახებ.

ამ საკითხის შესახებ ლაპარაკობს მომარაგების მინისტრი გ. ერაძე, რომელიც აღნიშნავს მომარაგების სამინისტროს მოღვაწეობას და იმ პირობებს, რომელშიაც მას უხდებოდა მუშაობა და დასძენს: მე უკვე დავღალე (მან ილაპარაკა ორი საათის განმავლობაში), რაც შეეხება სპ. კედიას მიერ წამოყენებულ ბრალდებებს იმ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომელსაც ვითომდა ქონოდეს ადგილი სამინისტროში, მე პასუხს შემდეგ გავსცემ და დავამტკიცებ, რომ კედიას მიერ წამოყენებული ბრალდებები მტკნარი სიცრუეა. გ. ერაძის სიტყვას ამ დღეებში ვრცლად დავბეჭდავთ.

შეკითხვა.

მდივანი კითხულობს სოც.-რევოლიუციონერების შეკითხვას მთავრობისადმი. სოც.-რევოლიუციონერთა ფრაქციის სახელით ი. ნუცუბიძე ეკითხება მთავრობას: მილიციამ შელახა დეპუტატ კ. ნინიძის პიროვნება, დაარღვია შეუვალობის კანონი და რა ზომებს იღებს მთავრობა ამის წინააღმდეგ. შეკითხვაში აღნიშნულია, რომ ის საჩქაროთ უნდა გაირჩეს. შეკითხვის სისწრაფეს იცავს ი. ნუცუბიძე.

თავმჯდომარე: ვინ არის მომხრე, რომ ეს შეკითხვა სასწრაფოთ გაირჩეს? (შეკითხვის სისწრაფეს ხმას აძლევენ ესერები, სოც. ფედერალისტები, ნაციონალ დემოკრატები და სოც. დემოკრატიული ფრაქციის უმრავლესობა).

თავმჯდომარე: ვინ არის წინააღმდეგი? (ხელს სწევს ვალიკო ჯუღელი და რამოდენიმე სოციალ-დემოკრატი დეპუტატი. თავმჯდომარის კითხვაზე ვინ არის წინააღმდეგი, რომ შეკითხვა სასწრაფოდ გაირჩეს **ივ. ლორთქიფანიძე** ამბობს: მაუზერისტების მეთაური.

ვალიკო ჯუღელი (წამოდგება) რა თქვით?

ივ. ლორთქიფანიძე: მაუზერისტების მეთაური.

ამასობაში შეიქნება დიდი ხმაური, თავმჯდომარე ზარს რეკავს და დეპუტატებს მოუწოდებს წესიერებისაკენ.

ვ. ჯუღელი. ვინ მოგცათ ნება ამის? განა თქვენ უფლება გაქვთ ამისი! თქვენ არ იყავით, რომ სამჯერ მოინდომეთ თავის მოკვლა ნავთის ქურდობისათვის და ვერ გაბედეთ! (ხმაურობა გრძელდება) ლორთქიფანიძე რაღაცას უპასუხებს, მაგრამ არ ისმის. თავმჯდომარე კვლავ მოუწოდებს კრებას სიწყნარისაკენ. ისმის ხმები: „გააგდეთ გარეთ ლორთქიფანიძე".

თავმჯდომარე: (ზარს რეკავს) დაწყნარდით, ბატონებო! ხმაური გრძელდება. როცა სიწყნარე ჩამოვარდება, თავმჯდომარე ამბობს:

ბ. ლორთქიფანიძე: თქვენ აქ სთქვით, რომ მაუზერისტების მეთაური ჯუღელია. ჩვენ აქ გვყავს არა მაუზერისტების მეთაური, არამედ დეპუტატი ვალიკო ჯუღელი, რომელიც ამავე დროს არის მეთაური იმ სახელოვანი სახალხო გვარდიისა, რომელმაც იხსნა ჩვენი ქვეყანა მტრებისაგან და რომლის წყალობით დამფუძნებელი კრება განაგრძობს დამშვიდებულ მუშაობას (ხანგრძლივი ტაში). მე, ბ. ლორთქიფანიძე გაძლევ შენიშვნას და გთხოვთ შემდეგში ასეთი რამ არ დაუშვათ. (კვლავ ხმაურობა): ხმები: გააგდეთ გარეთ ლორთქიფანიძე, შენიშვნა არ კმარა და სხვ.

როცა სიწყნარე ჩამოვარდება, სიტყვა ეძლევა შემკითხველ ი. ნუცუბიძეს, რომელიც სწერს იმ პირობებს, რომელშიაც მოხდა დეპუტატ ნინიძისათვის შეურაცხყოფის მიყენება და დასკვნის: მილიციამ შეურაცხყოფა მიაყენა დეპუტატ კ. ნინიძეს, შელახა მისი პიროვნება, ამით დარღვეულია დამფუძნებელი კრების კანონი დეპუტატის შეუვალობის შესახებ და ამიტომ დამნაშავენი პასუხისგებაში უნდა იქნან მიცემული.

თუმცა მთავრობამ განაცხადა, რომ ის მზათ არის განმარტება მისცეს, მაგრამ სიგვიანის გამო მსჯელობა გადაიდო პარასკევის სხდომისათვის.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში

გაზეთი „შობის ფრონტის დღე"-სათვის. ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ამ დღისთვის სცემს გაზეთს, სადაც იქნება მოთავსებული პატარა წერილები ფრონტის შესახებ, ყველა ჩვენი პოლიტიკური მოღვაწეთა და მწერლებისა. მთავარი კომიტეტი სთხოვს ყველა ჩვენს პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთ, მწერლებს, სამხედრო პირებს და სხვებს გამოუგზავნონ თავიანთი წერილები 23 დეკემბრამდე სასახლეში კომიტეტის თავმჯდომარესთან ს. მ. ჟორჟოლიანთან ან ტფ. ქალაქის თვითმართველობის სტატისტიკურ განყოფილებაში ა. რუხაძესთან.

მუშაობა პროვინციის კომიტეტებში. პროვინციიდან მიღებულ ცნობებით ადგილობრივი ფონდის კომიტეტები შეუდგენ მუშაობას.

სომხური და ოსური სექციები. კომიტეტის თავმჯდომარის სახელზე მოვიდა განცხადება სამხედრო სამინისტროს კულტურულ-განმანათლებელ სექციის თავმჯდომარის პოლკ. ართმელაძისა, რათა კომიტეტმა თავს იდვას აღნიშნულ კულტურულ განყოფილებასთან გახსნან სომხურისა და ოსური სექციის შესანახი ხარჯები.

მანდატების მოთხოვნა. კომიტეტი სთხოვს მოქალაქეთ, კომიტეტის წარმომადგენელთ ნივთების აკრეფის დროს მოსთხოვონ შესაფერისი მანდატები და აკრეფის საკვიტანციო წიგნები.

ახალგაზრდა საქართველოს!

(ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტის მოწოდება).

> „ფრონტი ბავშვია—ფრონტს ალერსი სჭირია, ფრონტს ცოტა რამ გაამხნევებს".
>
> **ვალ. ჯუღელი.**

პატარებო, მოსწავლენო, ახალგაზრდობავ!

თქვენ მომავალსა და ბედნიერ, თავისუფალ სამშობლოს ჩვენი მებრძოლნი, ფრონტზე მდგომი მეომარნი ქმნიან. ბედმა თქვენ არ გარგუნათ იარაღით ხელში დაიცვათ თქვენი ტურფა ქვეყანა ერის კეთილდღეობისათვის მოზარდი თაობა ღვრის სისხლს.

სიცივეში, ყინვაში, გაჭირვებაში ფრონტზე მყოფთ თქვენს დამცველთ, ჯარისკაცებსა და გვარდიელთ თქვენი თანაგრძნობა გაახსენებს, მათ შესძენს ახალ ძალას და [illegible] თქვენი, ახალგაზრდობის ალერსი ფრონტისადმი საჭიროა.

ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი. 25 და 26 დეკემბერს (ახალი სტილით) ქუჩაში, სასახლის წინ სდგამს „ფრონტის შობის ხეს" და ამ ორი დღის განმავლობაში თქვენგან, დილის 10 საათიდან დაწყებული, ნაშუადღევის 3 საათამდის მიიღება „ფრონტის შობის ხის"-თვის საჩუქრები. ამზადეთ ამ დღეებისთვის.

დაიხმარეთ მშობლები, ნათესავები და მიიტანეთ შობის ხესთან თქვენის ხელით, რამდენიც და რაც იშოვოთ: თეთრეულობა, თბილი რამ წინდები, ხელთათმანები, თუთუნი, ასანთი, პაპიროსი, საპონი და ის, რაც გამოადგება ფრონტს. დაწერეთ ბარათებიც უცნობ მეომართადმი გასაგზავნათ.

არც ერთი ახალგაზრდა არ უნდა დარჩეს სასახლესთან მოუსვლელათ!

დაამტკიცეთ, რომ რესპუბლიკანურ სამშობლოს ღირსნი შვილნი ხართ!

დაამშვენეთ თქვენი უფროსთა თავდადება!

მოწოდება

მოქალაქენო! ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტი ქრისტეშობისთვის 25 და 26 მართავს „შობის-ხეს" საქართველოს ფრონტის სასარგებლოთ.

ყველამ კარგათ უწყის ჩვენი ფრონტის მნიშვნელობა, მისგან დამოკიდებული სამშობლოს კეთილ-დღეობა და თავისუფლების ბედ-იღბალი. ჩვენი ჯარი და გვარდია მედგრად სდგას საქართველოს საზღვრებზე და გულ მკერდით იცავს მას. ისინი გუშაგობენ ცივ სანგრებში ჩვენი სამშობლოსა და თავისუფლებას და მათი დავიწყება აღმაშფოთებელი უსამართლობა იქნებოდა.

მოგიწოდებთ, მოქალაქენო, გაიღოთ თქვენი წვლილი სანგრებში მყოფ მეომრებისათვის და მიიტანოთ შემოწირულებანი „შობის-ხესთან", რომელიც აღმართული იქნება რუსთაველის პროსპექტზე, დამფუძნებელი კრების წინ. მიიღება შემდეგი შემოწირულებანი: თეთრეული, წინდები, თუთუნი, ხელთათმანები, პაპიროსები, ასანთი, საპონი და სხვა.

იცოდეთ, მოქალაქენო, რომ ყოველ გვარი შემოწირულება, როგორიც მცირე არ უნდა იყოს ის, გულწრფელი მადლობით მიიღება და გადაეცემა სამშობლოს დამცველ ფრონტებზე.

გაიღეთ თქვენი წვლილი, დაეხმარეთ ფრონტს, მის სიმაგრეზეა დამოკიდებული საყვარელი სამშობლოს კეთილდღეობა და ქართველი ერის ბედ-იღბალი.

მოიხადეთ თქვენი ვალი იმათ წინაშე, რომელნიც საკუთარ სისხლს არ ზოგავენ თქვენ საკეთილდღეოთ.

ტფილისის ქალაქის მოურავი **ჩხიკვიშვილი.**

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

22 დეკემბერი.

გერმანული ცნობები

მეფე კონსტანტინე ათინაში.

მეფე კონსტანტინესა და დედოფალ სოფიოს ათინაში შესვლამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. მეფეს ეტლი დიდი სიძნელით მიდიოდა ხალხით გაჭედილ ქუჩებში. სობოროში მომხდარ საზეიმო ცერემონიის დროს მეფემ და დედოფალმა იტირეს ღელვარებისაგან. როგორც სჩანს, ინგლისი და საფრანგეთი არ მოისურვებენ ახალ მთავრობასთან ოფიციალურ დამოკიდებულების დაჭერას, „ეხო დე პარის" ცნობით ანტანტის მიერ თავის ელჩების გამოწვევას უშლიდენ ხელს იტალიელები.

კაბინეტის კრიზისი პოლონეთში.

პოლონეთის ახალ კაბინეტის მდგომარეობა ძალიან მძიმეა. ამის მიზეზი არის ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატმა, ვიცე თავმჯდომარე დაშინსკიმ დასტოვა კაბინეტი პარტიის მოთხოვნილებით მას შემდეგ, რაც კაბინეტიდან ნაციონალისტები გავიდნენ.

არჩევნები ისპანიაში.

ისპანიის საკანონმდებლო დაწესებულების წევრთა არჩევნები ნორმალურათ მიმდინარეობს; ბარსელონაში ხმის უმრავლესობა მიიღეს ნაციონალისტებმა, მადრიდში კი მონარქისტებმა.

მღელვარება თურქესტანში.

გადმოგვცემენ, რომ თურქესტანში მღელვარება დაწყებულა წითლების წინააღმდეგ.

საბერძნეთის მთავრობის გადადგომა.

ათინიდან იუწყებიან: რალისმა მეფეს აუწყა კაბინეტის გადადგომის შესახებ. მეფემ სთხოვა მას, რომ იგი მთავრობის სათავეში დარჩეს პალატის მოწვევამდის.

ლიონის ცნობები

მოლაპარაკება რიგაში.

თანახმათ „ტანის" მიერ გამოქვეყნებულ ცნობებისა მოლაპარაკება ბოლშევიკებსა და პოლონეთს შორის იანვრის 15-დე დასრულდება. პოლიტიკურმა კომისიამ უკვე გამოარკვია საკითხები ზავის გარანტიების შესახებ. საკითხი ტყვეების და მძევლების გაცვლისა უკვე მოწესრიგდა. ის საკითხები კი, რომელთაც შესახებ ჯერ-ჯერობით ვერ შეთანხმდნენ, გადაწყვეტილი იქნება დამასკისა და იოფფეს მიერ.

საბერძნეთში.

მეფე კონსტანტინეს ათინაში შესვლის დროს თავიანთი სადგომი ბინები დასტოვეს არა მარტო საფრანგეთისა, ინგლისისა და იტალიის ელჩებმა, არამედ აგრეთვე [illegible] შეერთებულ შტატების, ბრაზილიისა, ბელგიისა, პოლონეთისა და სერბიის წარმომადგენლებმაც.

აქ. დეპ. სააგენტოს საინფორმაციო განყოფილება

22 დეკემბერი.

ოსმალეთის გარშემო.

საბჭოთა რუსეთის ჯარის რიცხვი აღმოსავლეთში უდრის შემდეგს: მე 6 საბჭოთა ლაშქარი სდგას დნეპროზე, მე-13 ლაშქარი კი დნეპრისა და აზოვ ზღვის შუა. ეს ჯარები, რომელთა რიცხვი 120,000 კაცს უდრის, [illegible] რის სამხედრო მასალითაც. 3 სხვა ლაშქარი კავკასიის რაიონში არის მოთა სებული. მე 9 ლაშქარი მოთავსებული საქართველოს ჩრდილოეთით. ეს ლაშქარი შესდგება 3 ქვეით ჯარის-კაც დივიზიისა და ერთ ცხენოსანთა დ ზიისგან. მე 0 ლაშქარი სომხეთ საზღვართან სდგას, მე 11 ლაშქარი სპარსეთის საზღვრებთან. სულ კავკასი რაიონში თავმოყრილია 80.000 წით არმიელი, ეს ლაშქარი არის იარაღი ზ გავლენისა ოსმალეთსა და მოსაზღვრე სახელმწიფოებზე.

მუსტაფა ქემალისა და ქარაბექირ ჯარები საგრძნობ ძალას წარმოადგენ ამ ჯარებმა დაიკავეს სომხეთი და დი აქტივობას იჩენენ კონსტანტინოპოლ და კილიკიის რაიონებში. ოსმალეთი ნაციონალისტები ამ ჟამად რუსეთი ბოლშევიკებისგან არიან დამოკიდებუ ნი. საბჭოთა რუსეთი აწვდის მათ ო როს და სამხედრო მასალას. მოსკოვი გავლენა იზრდება. მოსკოვის პოლიტი კოსები ცდილობენ წაუსისინონ ოსმა ლები დასავლეთის სახელმწიფოებს.

შემდეგ „ტანი" არჩევს ანტანტ პოლიტიკურ ხაზს და აღნიშნავს: იტა ლია უკვე შეუთანხმდა ოსმალეთის ნა ციონალისტებს და თავისი ჯარები მ რე აზიიდან გამოიწვია.

ინგლისი თავისი ფლოტის მეოხები ბატონობს სრუტეებზე და აგიტაცია ეწევა კონსტანტინოპოლთან შეთანხმე ბის შესახებ. ინგლისი საბჭოთა რუსეთ თანაც შეთანხმების წინ იმყოფება, როგორც გადმოგვცემენ, ოსმალეთ ნაციონალისტებთან უკვე [illegible] მოკიდებულება.

ინგლისის პოლიტიკა მეტად მოქნი ლი და რეალურია. მხოლოდ საფრან გეთი არის იძულებული დაიცვას კ სტანტინოპოლი და აწარმოოს ომი კ ლიკიაში. დასასრულ „ტანი" წინად დებას იძლევა: 1) იქნეს გადასინჯუ სევრის ხელშეკრულება, ოსმალეთთა ნამდვილ ზავის ჩამოსაგდებად. 2) დაი ყოს საფრანგეთმა მოლაპარაკება ქემ ლისტებთან კილიკიის დაცლის შესახე

ე. გეგეჭკორი ლეონ ბურჟუასთან

ნოემბრის 8 ე. გეგეჭკორმა ინახუ ერთა ლიგის აღმასრულებელ კომი ტის თავმჯდომარე ლეონ ბურჟუა. ს უბრის დროს, რომელიც საათ-ნახევარ გაგრძელდა, ე. გეგეჭკორმა გა ლეონ ბურჟუას საქართველოს მდგომ რეობა და ის მოტივები, რომლით ქართველი ხალხი ასაბუთებს თავ უდავო უფლებას დამოუკიდებლობ და ერთა ლიგაში მონაწილეობის მი ბაზე.

ლეონ ბურჟუა დაპირდა გეგეჭკ თავის დახმარებას, რომ საქართვე საკითხი დაისვას ერთა ლიგის მომა ყრილობაზე და რომ ეს საკითხი საქა თველოსათვის სასურველად გადაწყდ შეხვედრას დაესწრო რენოდელი, რომე ლიც განსაკუთრებული ენერგიით იცა საქართველოს სურვილს ერთა ლიგა მიღების შესახებ. (სდს)

კონსტიტუციის განხილვა დამფუძნებელ კრებაში

17 დეკ. სხდომა.

რ. არსენიძის სიტყვა:

მოქალაქენო, დამფუძნებელი კრების წევრნო! ამ კონსტიტუციის შესახებ უკვე საკმაოდ ბევრი ითქვა, მაგრამ საჭიროა და აუცილებელია ზოგიერთი მთავარი გაუგებრობის გაფანტვა და პროექტის ნამდვილი აზრის და მნიშვნელობის გამორკვევა.

ჩვენს კონსტიტუციას აქვს ერთგვარი თავისებურობა, ერთგვარი ორიგინალობა, რომელიც სრულიად მიუღებელი და გაუგებარი რჩება, როგორც მემარჯვენე, ისე განსაკუთრებით „მემარცხენე" ორატორებისათვის, რომლებიც თავის თავს უპირატესად მემარცხენედ სთვლიან და ამ გამიჯვნა ამ ორ ხაზს შორის არის ერთი მიზანთაგანი ჩემი აქ გამოსვლისა, რამდენადაც მე ამის ძალა შემწევს.

უპირველეს ყოვლისა უნდა აღვნიშნოთ თუ რას ეყრდნობა კონსტიტუცია და რა პერსპექტივები აქვს მას. განხილვა ამ ორი საგნის აუცილებელი არის ყოველ კონსტიტუციისათვის. ჩვენი კონსტიტუცია გამოვიდა, რასაკვირველია, ჩვენი დამოუკიდებლობის აქტიდან ერთის მხრით, და რუსეთის დიდი რევოლიუციიდან, მეორეს მხრივ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რევოლიუცია ჩვენში გაყვა განსაკუთრებულ გზას და არა რუსეთის დიდი რევოლიუციის გზას. ის გაჰყვა თავის საკუთარ—უკვე შეიძლება თამამად ითქვას—საქართველოს რევოლიუციონურ გზას. ეს გზა არის მთავარი ღერძი, როგორც ჩვენი საერთო ხაზისა, ისე ჩვენი საერთო მუშაობისა და ჩვენი მომავალი პერსპექტივებისა. ეს გზა გახლავთ შემდეგი: ჩვენ ვქმნით სახელმწიფოებრივ წყობილებას, ჩვენ ვქმნით დემოკრატიულ რესპუბლიკას სრულიად გარკვეული მიზნით—მომავალ სოციალისტურ წყობილებისთვის ნიადაგის მომზადების და ამ სოციალიზმის განხორციელების ხელშეწყობის მიზნით. და, რადგანაც ჩვენ ამ ძირითად მიზანს დავისახავთ და ამ ძირითად აზრს გამოვსთქვამთ, ამით უკვე ვიძლევით არსებით განსხვავებას ჩვენი კონსტიტუციის დედა აზრს სხვა ყველა კონსტიტუციის დედააზრისაგან, ვინაიდან ბურჟუაზიულ დემოკრატიული კონსტიტუცია რესპუბლიკანურ წყობილებას სთვლის თავისთავად იმ საბოლოო წყობილებად, რომლის იქითაც მას არავითარი სურვილი არა აქვს ნაბიჯის გადადგმისა. ეს არის მისთვის, ასე ვსთქვათ, მიზანი და საბოლოო წესწყობილება. ჩვენთვის ის არის საშუალება და გამოსავალი წერტილი.

და, თუ ეს მთავარი განსხვავება მივიღეთ მხედველობაში, ჩვენ მაშინ ადვილად გავარკვევთ ყველა იმ შედეგებს, აზრებს და მთელ რიგს დებულებისას, რომლებიც ჩვენს კონსტიტუციაში არის მოთავსებული. აქ ჩვენი სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბელადმა ნოე ნიკოლოზის ძე ჟორდანიამ საკმაოდ აშკარად და მკაფიოდ გამოსთქვა ის, რომ კონსტიტუციის მთელი შინაარსი ემყარება შინაურ ძალთა განწყობილებას. და რომ ეს ძალთა განწყობილება არ ყოფილიყო ხელსაყრელი ჩვენი მთავარი მიზნისათვის, მაშინ, რა თქმა უნდა, თქვენ არ გეყოლებოდათ არც დღევანდელი მთავრობა, არც დღევანდელი შემადგენლობა დამფუძნებელი კრებისა და არც ასეთი მიზნების დასახვა იქნებოდა შეძლებული. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ეს შინაური ძალთა განწყობილება სავსებით შეეფერება ამ საერთო ხაზს, ჩვენ გვაქვს საშუალება შევქმნათ ნამდვილი დემოკრატიული კონსტიტუცია, რომლის მიზანი არის არა ბურჟუაზიული წყობილების გამაგრება და გამუდმივება, არამედ მისი სოციალისტური წესწყობილებისათვის ჩაბარება და ახალ, მომავალ საკაცობრიო ბედნიერების წარმოშობის გაადვილება.

მაგრამ, გარდა ამ საშინაო მდგომარეობისა, ჩვენს კონსტიტუციაზე და მის მრავალ დებულებებზე არა მცირედი გავლენა იქონია ჩვენი ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობამაც, ჩვენმა საგარეო მდგომარეობამაც. ყველამ უნდა იცოდეს ის უცილობელი დებულება და ის უდაო ჭეშმარიტება, რომ დიდ სახელმწიფოსაც კი დიდ ძალს აჩნევს და თავის გავლენის ქვეშ იმორჩილებს საერთაშორისო ურთიერთობას, და პატარა ერებისათვის ხომ ეს მეტად მნიშვნელოვანი და მუდამ თვალსაჩინო ფაქტორია. ამიტომ ჩვენი კონსტიტუციის შემუშავების დროს არ შეიძლება ანგარიში არ გაგვეწია ჩვენი საერთო მდგომარეობისათვის და არა ერთი ელემენტი ჩვენი კონსტიტუციისა არის იმის შედეგი, რომ ჩვენ გარს გვარტყია სრულიად განსაკუთრებული კულტურის და განსაკუთრებული განვითარების დონეზე მდგარი ხალხი. ჩვენს კონსტიტუციაზე არა მცირედი გავლენა იქონია იმ გარემოებამაც, რომ ამ ჟამად უკვე ჩვენი დამოუკიდებლობის აქტით მოვშორდით რუსეთის საერთო გეზს და საერთაშორისო ევროპის ცხოვრების ტალღებში შევცურეთ. და ჩვენ გვინდა აი ამ საერთაშორისო ახალ კულტურულ ცხოვრებაში მოვიპოვოთ სათანადო ადგილი, როგორც შეჰფერის ეს სოციალისტურ დემოკრატიას. აქ ერთმა ორატორმა, ვგონებ ნუცუბიძემ,—ჩვენ მოგვთხოვა ევროპისაგან ჩამოშორება (შენიშვნა: კაპიტალიზმისაგან) თუ ევროპის კულტურა და კაპიტალი შემოვიდა აქ, ჩვენი ერის თავისებურება მოისპობა. (ი. ნუცუბიძე: მე ასე არ მითქვამს!) მე სიტყვა-სიტყვით ჩავიწერე და ამას სტენოგრამაც გვიჩვენებს. აი ასე იყო აქ თქმული. სხვანაირად არ შეიძლებოდა ეთქვა, თუ არა კულტურის მიხედვით, ის თავისებურობა არ შეიძლება იყოს, აბა კაპიტალიზმი ხომ ყველგან კაპიტალიზმია! ცხადია თავის თავად, რომ ეს ეროვნული თავისებურობა, ეს წმინდა სლავიანოფილური, ან უკეთ, თუ გნებავთ ქართველოფილური აზრი, და საერთოდ ეს თავისებურობა, რომელიც გამოიხატება ევროპის კულტურისაგან გამიჯვნაში, არსებითად უარყოფილი არის ჩვენის კონსტიტუციით. იქ დასახულია სრულიად საწინააღმდეგო მიზნები. არა ჩამოშორება ევროპის კულტურისაგან, არამედ ზიარება ევროპის კულტურისა, ეს არის უმთავრესი საშუალება იმ მიზნისათვის, რომელიც ჩვენ გვაქვს დასახული. წარმოიდგინეთ, არც ევროპის კაპიტალი არის ისეთი უნიათო ელემენტი, რომლის უარყოფა და გადაგდება ასე ადვილად შეიძლებოდეს. ჩემის ღრმა რწმენით, კაპიტალის განვითარება, მთელი მისი მავნე მხარეები და მისი მოქმედება სწარმოებს იმ მიზნის სასარგებლოთ, რომელიც ჩვენ გვაქვს დასახული. ამ კაპიტალის განვითარება ევროპაში რომ მიმართული იყოს არა სოციალიზმის გზისაკენ, არამედ მის წინააღმდეგ, მაშინ ჩვენი იდეალების ბედი წინასწარ გადაწყვეტილი იქნებოდა და გადაწყვეტილი უარყოფითად. მაგრამ სწორედ იმიტომ, რომ ყველა ეს ელემენტები, უარვყოფთ თუ ვიმხრობით თითოეულ მათგანს, ეს სხვა საქმეა, ყველა ელემენტები თავის ბრძოლაში, თავის საერთო პიდილში მიდიან იქით, იმ ჩვენი სანუკვარი სოციალისტურ წყობილებისაკენ და სწორედ ამიტომ ჩვენი კონსტიტუცია მოითხოვს ამ კავშირს ევროპასთან, ამ მთლიანობას ევროპის კულტურასთან, რადგან მას ამით ეძლევა ნიადაგი და საფუძველი იმის, რომ განახორციელოს ის მიზანი, რომელიც მას აქვს დასახული. (გობეჩია: რომელი კულტურა?), რასაკვირველია, ვინც არ იცის-რა არის კულტურა, იმას ლექციას ვერ წაუკითხავ. (გობეჩია: რომელი კულტურა, ბურჟუაზიული თუ სოციალისტური?) გაუგებრობის გასაფანტავად ამ კულტურის შესახებ ერთი უნდა ვსთქვა: ვისაც ჰგონია, რომ პროლეტარიატი იმიტომ გაჩნდა, რომ, მგზავსად ჩვენი ჩრდილოეთელი მეზობლისა, ბურჟუაზიული კულტურის ყველა ელემენტები და ჩანასახი გაანადგუროს და ამაში ხედავს საფუძველს ახალ, პროლეტარულ კულტურისა, ის ღრმად შეცდარია. მე მგონია, პროლეტარიატი, ძლიერია იმით, რომ ის უნდა გახდეს ღირსეული მემკვიდრე იმ დიდი კულტურისა, დიდი განძისა, რომელიც შექმნა ევროპამ (ტაში). ამიტომ მე ვამბობ, რომ ევროპის მთელი კულტურა, ყველაფერი ის, რაც არის მასში დიდებითი, ყოველივე ეს არის მომავალში სამემკვიდრეო პროლეტარიატისა, მუშათა კლასისა. და ამ მემკვიდრეობის მიღებას სცდილობს ჩვენი ერი ჩვენი კონსტიტუციის საშუალებით და აი (გელეიშვილი: მიქელ ანჯელო გადავაგდოთ, რადგან ბურჟუაზიული კულტურის წარმომადგენელია?) მე მგონია, ეს მცირე შესავალი იქნება საკმარისი იმისთვის, რომ იმან, ვისაც სურს გაიგოს ძაფი თანამედროვე წყობილებიდან მომავალ მიზნისაკენ, ეს გაიგოს. მაგრამ, ვისაც სურს ძაფები გაიბას ჰაერში, ოცნებების კოშკებიდან მეორე ოცნების კოშკზე, მას, რასაკვირველია, არ შეუძლიან გაიგოს თუ რატომ გამოვდივართ ჩვენ ჩვენი რეალობიდან და არა სხვა რომელიმე იდეალური, თეორეტიული დებულებიდან. სწორედ ეს მეცნიერი ელემენტები, ეს ფუნდამენტური ელემენტები უმთავრესად ისახავენ იმისთანა პროექტს, რომელიც აქ სოციალისტ-რევოლიუციონერების სახელით შემოვიდა. ამ პროექტზე მე მოგახსენებთ მერე ცოტა უფრო დაწვრილებით, ახლა კი ვიტყვი: ის მიზანი, რომელსაც ჩვენ ვისახავთ, აგრეთვე დასახულია მიზნად—თეორეტიულად მაინც—საბჭოთა რუსეთის კონსტიტუციაში და სოციალისტ რევოლიუციონერების კონსტიტუციის პროექტში.

მხოლოდ ჩვენი პროექტი განსხვავდება იმათგან თავის რეალური საფუძვლით იმიტომ, რომ იგი გამოდის არსებულ მდგომარეობიდან და არა ოცნებიდან, არსებულ ძალთა განწყობილებიდან და არა კაბინეტში მოგონილ თეორიულ ურთიერთობიდან. ესერების მიერ წარმოდგენილი პროექტი განსახიერებაა საბჭოთა სისტემის გავლენისა, იგი კუდმოკვეცილი უკანონო შვილია რუსეთის საბჭოთა წესწყობილებისა და როგორც ასეთი, იგი არც მარცხნივ სდგას და არც მარჯვნივ. და სწორედ ეს არის მისი უდიდესი დამახასიათებელი თვისება.

ჩვენ. ჩვენს წესწყობილებას ვუპირდაპირებთ რუსეთის არსებულ წყობილებას და მის სისტემას. საბჭოთა სი ტემას პირველად ყოვლისა ახასიათებ მისი ანტიდემოკრატიული ხასიათი, ი არის აგებული უმცირესობის დიქტ ტურაზე უმრავლესობის წინააღმდეგ ესაა მისი მთავარი თვისება და ამ იგი უკვე კარგავს ხალხურ ხასიათს უნარს, რომ გახდეს იარაღად ხალხ მომავალი გამარჯვებისა და შემოქ დებისა. საბჭოთა რუსეთის დიქტატ არის ბატონობა მცირე ნაწილისა დ ნარჩენ მასაზე, და იგი იწვევს უფლ ბოთა ამბოხებას, [illegible] რა მათ უფლების მოპოვების სურვილს და შასადამე ვერ შექმნის მშვიდობიან წყ ბილებას. ამით იგი მისის მთელ ენ გიას ახშობს და არ აძლევს გასაქ სახელმწიფო და საზოგადოებრივ ლებს, რომ თავისი შემოქმედება სათ ნადო გზით მიმართონ, შიგნიდან გან თარებას მოახმარონ. (იქ ხომ პრო ტარიატის დიქტატურაა—ბარათაშ ლი) ვისაც უმრავლესობის დიქტატ ვერ გაურჩევია უმცირესობის დიქტატ რისაგან, ის, რასაკვირველია, ასე ს ყვებს რომ გაიგონებს, ისეთ შენიშვ შეიტანს, როგორც იოსებ ბარათაშვი მა ინება. (შენიშვნა—С К დიქტატ რაა), (კედია: არც ერთის არ გვინდა ჩვენმა ნახევრათ ბოლშევიკებმა, რა კვირველია, საბჭოთა სოციალურ რ პუბლიკის მაგიერ წამოაყენეს, საბჭოთა შრომის რესპუბლიკა, (შენიშვნა: სა ჭოთა?) (საქართველო არის შრომ რესპუბლიკა; საქართველოს კანონმ ბელი ორგანო არის სახალხო საბჭო თუ შევაერთებთ ამ ორ სახელს, გამო „სახალხო საბჭოთა შრომის რესპუ ლიკა" (კედია—კონტრაბანდი არაა არის შიში აზრისა, შიში ლოლ (თევზაია—ოპორტუნიზმი!) აქ რო თქვენ პირდაპირ, საბჭოთა რესპუბ კაო, გვეცოდინებოდა მაინც, ვის გვაქვს საქმე. მაგრამ თქვენ ამბობ შრომის რესპუბლიკაო და ახლა მე გ კითხებით: შრომის რესპუბლიკა რო განსხვავდება სოციალისტურ რესპუბლ კისაგან? თქვენ შეგეშინდათ, ამ სი ყვის — სოციალისტურის ხმარება ი

ახალი ამბები

◆ **სალამი აჭარიდან.** 16 დეკემბერს სოფელ ხულოში შედგა აჭარის სოფლების მცხოვრებთა დიდრიცხოვანი მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ: დამფუძნებელი კრების წევრი ი. რამიშვილი და ბათომის ოლქის უფროსი მიქაბერიძე. ილიკო რამიშვილის მოხსენების შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა ერთმა ადგილობრივმა მოხუცმა: დიდ მადლობას და სალამს ვუძღვნით ჩვენ ყველანი საქართველოს დამფუძნებელ კრებას და მთავრობას, რომ მათ, მიუხედავათ ჩვენ მიერ ღალატურ ნაბიჯის გადადგმისა, მაინც არ დაგვივიწყეს და ძმურათ ხელს გვიწვდიან და ამ სიცივეში და ყინვაში გამოგზავნეს დასარიგებლად ეს მოხუცი კაცი, გადაეცით ჩვენს საყვარელს საქართველოს, რომ სამასმა წელიწადმა ვერ მოგვაშორა ჩვენს ღვიძლს სამშობლოს საქართველოს, ვერ ამოგვაძრო ტკბილი მშობლიური ენა და მით უფრო ამას ვერ შეძლებენ აწი შესყიდვით და მოტყუილებით. ვაიმედებთ საქართველოს, რომ ამიერიდან ჩვენში ვერ გაივლიან ვერავითარი მტრები საქართველოსი: ვერც ქემალისტები, დენიკინელები და ვერც ბოლშევიკები და თუ გაივლიან, ჩვენის ხელით დავიჭერთ და გადავსცემთ მთავრობასო. შემდეგ კრებამ ერთხმად დაადასტურა და დაადგინა: გაეგზავნოს მთავრობას და დამფუძნებელ კრებას მისალმების დეპეშა. (სდს).

◆ **ქალაქთა კავშირის მთავარმა კომიტეტმა** რესპუბლიკის ქალაქის ყველა თვითმართველობას გაუგზავნა თავდაცვის ფონდის კომიტეტის ინსტრუქცია და მოწოდება და აუწყა, რომ მათ სამშობლოს თავდაცვის ფონდის საქმეს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება.

◆ **მთავრობის თავმჯდომარის სახელზე** შემდეგი დეპეშები მოვიდა: ქუთაისის რკ. გზ მოსამსახურეები და მუშები, რომელთაც მოისმინეს მოხსენება მიმდინარე მომენტის შესახებ და გაეცნენ რა შექმნილ მდგომარეობას, მიესალმებიან მუშათა კლასის ხელმძღვანელთ და მუშათა ინტერესების საუკეთესო დამცველთ. მუშები და მოსამსახურენი დარწმუნებულნი არიან, რომ მთავრობის თავმჯდომარის ბრძნულ ხელმძღვანელობით, საქართველო კვლავ დაამარცხებს მტერს. ფიცსა ვსდებთ, რომ ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ჩვენ ჭაღარა ხელმძღვანელთან ერთად და ჩვენი თავისუფლების ფეხქვეშ გათელვის ნებას არავის არ მივსცემთ. (სდს)

— ქალ. სიღნაღის მოქალაქენი მიესალმებიან მთავრობის თავმჯდომარეს და უსურვებენ მას ხანგრძლივ სიცოცხლეს საქართველოს დემოკ. რესპ. საკეთილდღეოდ. (სდს).

— ბახვის რაიონის სოც. დემ. ორგანიზაციის ყრილობა მიესალმება დემოკრატიის ბელადს და უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლესა და დაუშრეტელ ენერგიას საერთაშორისო დემოკრატიის იდეის კეთილდღეობისათვის სამუშაოთ. ყრილობა ფიცსა სდებს იბრძოლოს ყოველგვარ ანარქიისა და საქართველოს მტრების წინააღმდეგ. (სდს).

◆ **მეოთხე რაიონული კოლექტივი.** დღეს, საღ. 7 ს. იწვევს პარტიის წევრთა საზოგადო კრებას, მიმდინარე მომენტზე მოხსენებას გააკეთებს ამხ. გრ. ლორთქიფანიძე საღ. 5 ს. დანიშნულია კოლექტივის მორიგი სხდომა, რომელსაც უნდა დაესწრონ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე ამხ. ნაგები.

◆ **დღეს**, შუადღის 4 ს. მეხუთე რაიონში, სადგურ ნავთლუღის კაზეთში დანიშნულია რაიონის საერთო წევრთა კრება. მოხსენებას სხვადასხვა კითხვებზე გააკეთებს ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის ერთ-ერთი წევრი.

◆ **სატარიფო პალატის პრეზიდიუმმა** დაადგინა: გაუთანასწოროს ხელფასი პირველ სასურსათო მაღაზიის წისქვილის მომუშავეთა და სამხედრო სამნეო კომიტეტის პურის მცხობლებს ამავე კატეგორიის კერძო წარმოებათა მუშების ჯამაგირს.

◆ **სხვადასხვა ტექნიკურ დაბრკოლებათა** და რაიონებში არჩევნების დაგვიანების გამო ცენტრალური გამგეობის დადგენილებით 25 დეკემბრისთვის დანიშნული რკინისგზელთა მე 3-ე მორიგი ყრილობა გადადებულია 28 დეკემბრისთვის.

◆ **ფრონტისთვის შემოწირულების მოკრეფა.** დღეს, საღ 6 ს. ქალთა მე-6 ე გიმნაზიაში დანიშნულია ავლაბრის საზოგადო დაწესებულებათა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, რომელზედაც განხილული იქნება საკითხი, თუ როგორ უნდა მოეწყოს ადგილობრივად 25-სა და 26-ს დეკემბერს ფრონტისათვის შემოწირულებათა მოკრეფა. სთხოვენ სკოლების გამგეებს დაესწრონ ამ კრებას.

◆ **სახელმწიფო დრამის თეატრში** დღეს პრემიერაა: პირველად წარმოდგენილ იქნება სოფოკლეს „ანტიგონე“. პიესასთან ახლავს მუსიკა მენდელსონისა, რომელსაც შეასრულებს დრამის თეატრის სიმფონიური ორკესტრი. პიესას რეჟისორობს კ. ანდრონიკაშვილი. დეკორაციები დახატულია მხატვ. ვლ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

◆ **სტუდენტთა კოოპერატივი „ჩვენი ოჯახი“** (რუსთ. პრ. № 40) იყიდება გეომეტრიულ კრისტალოგრაფიის სახელმძღვანელო აგრ. ბუნებ. სტუდენტთათვის. მიღებულია აგრეთვე ქართოფილი, საპონი, ხახვი. ამ დღეებში მივიღებთ ლობიოს, მარილს, თაფლს, ისანის.

◆ **ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციებში.** დღეს, მესამე რაიონის კოლექტივის ბინაზე ახალ. მარქ. ც. კ. წევრი ამხ. მ. კვატაშიძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „უტოპიზმი და მარქსიზმი თანამედროვე პირობებში“. დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

კრებები.

დღეს სრულ 6 საათზე ქალთა მე-2-ე გიმნაზიის შენობაში დანიშნულია ბუნების მეტყველების და გეოგრაფიის მასწავლებელთა წრის სხდომა.

— დღეს, საღ. 6 ს., ბიუროს ბინაზე დანიშნულია საქ. სოც. დემ. მ. პარტიის მე 6 რაიონულ კოლექტივის წევრთა სხდომა.

— მეორე რაიონული კოლექტივის სხდომა შესდგება დღეს საღამოს 6 ს.

— დღეს, 23 დეკემბერს, საღ. 5 ს., შესდგება ს. ს. დ. მ. პ. მე ამე რაიონის კოლექტივის ჩვეულებრივი სხდომა. სავალდებულოა დაესწრონ კრებას ქვეკოლექტივები და იაჩეიკები რომლებიც ხსენებულ რაიონში არსებობენ.

საეკლესიო ქონება და ხალხი

18 დეკემბერს, დ. შორაპანში შესდგა მრავალრიცხოვანი კრება, რომელმაც მოისმინა მოხსენება საეკლესიო ქონების და საკათალიკოსო საბჭოს მოქმედების შესახებ და ერთხმად მიიღო შემდეგი დადგენილება: „გამოეცხადოს თავის გულის წყრომა საკათალიკოსო საბჭოს და მის დამცველებს, რომლებიც სამშობლოს ასეთ მძიმე მდგომარეობაში ასე ეპყრობიან ქვეყანას და მის ინტერესებს მათ წყევა-კრულვას. ჩვენ უპირდაპირებთ მშრომელი ხალხის მთლიან გულისწყრომას და სრულ თანაგრძნობას ჩვენი მთავრობის მიმართ. ამასთანავე ჩვენ მოვითხოვთ დამფუძნებელი კრებისაგან დაუყოვნებლივ გატარებული იქნას კანონი ეკლესიის სახელმწიფოსაგან ჩამოშორების შესახებ. კრება აღიარებს, რომ საეკლესიო ქონება არის ხალხის საკუთრება და მისი მომვლელ პატრონი უნდა იყოს მთავრობა და არა სხვა ვინმე.

კრების თავმჯდომარე
ხვ. გაჩეჩილაძე.

დაუდევრობა?

არ შეგვიძლია უყურადღებოთ დავტოვოთ ის დაუდევრობა, რომელიც საგარეო საქმეთა სამინისტრომ გამოიჩინა იმ ნოტების გამოქვეყნების დროს, რომელნიც დაბეჭდილია ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში.

21 დეკემბერს, სწორედ საათის 2 ზე, სამინისტროდან გაზეთ „ბორბაში“ გამოგზავნეს რუსულ ენაზე ეს ნოტები. („ერთობა“, არც მოეგონებიათ.) გაუგზავნეს ხსენებული ნოტა აგრეთვე „ბორბასთან“ ერთად სააგენტოსაც.

და ჩვენ უნდა დაგვეცადა სააგენტოსთვის ?!

როდის გადაქართულებდნენ იქ, როდის გადაბეჭდავდნენ!. ამაზე სამინისტროს არ უფიქრნია.

როგორც სამინისტროს, ისე გაზეთის ინტერესი მოითხოვდა ნოტის თავის დროზე გამოქვეყნებას,—და სწორედ ამის შესახებ არ იზრუნეს იმათ, ვისაც ეს შეეხებოდა, აი რა გვაქვს სასაყვედურო!..

ეს მასალა ჩვენ შეგვეძლო მიგვეღო სამინისტროდან **რუსულად** (თუმცა ეს არ ჩაითვლება ნორმალურად) ისევ, როგორც არა ერთხელ მიგვიღია ასეთი მასალები ჩვენი დაწესებულებებიდან უცხო ენაზე, და თავის დროზე გადაგვეთარგმნა.

მაშასადამე, აცილებული იქნებოდა უნაყოფო სარბიელი და ფუსფუსი, როგორც თანამშრომლების, ისე ასოთ-ამწყობების. **თანამშრომელი.**

საბჭოთა რუსეთში

(გაზეთებიდან).

„შთაბეჭდილებანი“.

ამ სათაურით ვინმე მ. ლუშინი, სხვათა შორის სწერს: „მატარებელი მიადგა სადგ. სამარას შევდივარ ვოკზალის შენობაში. მაშინვე ვგრძნობ აყროლებულ სუნს. ზალა გავსილია ხალხით. იატაკზე წვანან დაჭრილები და ავათმყოფები,—როგორც წითელ არმიელები, ისე ბავშვები და ქალები. აქ არიან ტიფით, ხოლერით და სხვა სენით ავათმყოფნი. იატაკი კი წარმოუდგენლად ტალახიანია. ვეკითხები: „არის თუ არა აქ სასანიტრო კომისია“? მიპასუხებენ: „არის“. „მაშ, რას აკეთებს“? „არ ვიცით“: აი ის პასუხი, რომელიც მე მივიღე ყველა შეკითხვაზე. მე ვიდი ერთ დაჭრილ წითელ არმიელთან. დავიწყეთ ლაპარაკი. „მე ვიწექი სამარის გოსპიტალში, გამოვიწერე და უკვე 13 დღეა ვწევარ სადგურზე, ვერას გზით ვერ ჩავჯექი მატარებელში—ამბობს ის—ფრონტზე უკეთესი მდგომარეობაა“, რამდენჯერმე მიუმართავს მას სადგურის კომენდანტისათვის, რომ ჩაესვათ იგი მატარებელში და პასუხათ მიუღია: „სად მიდიხარ, ძლიერ ბევრნი ხართ!“

და ასეთ მდგომარეობაშია არა ერთი და ორი დაჭრილი ან ავათმყოფი წითელ არმიელი. 20 მებრძოლი უხელონი, უფეხონი და ავადმყოფნი, წვანან მესამე კლასის ჭუჭყიან ზალის აყროლებულ იატაკზე. ამავე ზალის მეორე კუთხეში ვხედავ მთელ ოჯახს ქალსა და ბავშვს—წვანან და წყნარათ კვნესიან. ე ოჯახობა დაშინებული ყოფილა და რა გაუგია, რომ შეიძლება პურით უფრო მდიდარ ადგილებისაკენ, ციმბირში გამგზავრებაო, გამოგზავრებულან რიაზანის გუბერნიიდან, შესაფერისი დოკუმენტების მიღების შემდეგ. და ამ უბედურ სადგურზე ისინი გადმოსხეს მატარებლიდან.

სადგურზე ორი კვირის გაჩერებობაში ყოფნის გამო—თითქმის ყველა ავათ გახდნენ სახადით. „ორი ბავშვი დავასაფლავე—მიამბობდა ქალი—ეხლა, ალბათ, ჩემი სიკვდილის ჟამიც მოახლოვდა, თითქოს ორი თვეა ვცხოვრობთ აქ, სადგურზე“ („პრავდა“ № 264).

„**ძველი ქვეყნის კუნჭული**“ ამ სათაურით „პრავდაში“ ივ. კამინსკი სწერს:

„ვისაც სურს ჰნახოს ძველი, რევოლუციამდის არსებული რუსეთი, თეატრში და სინემატოგრაფში კი არა, არამედ—ნამდვილი, ცოცხალი, იმას წინადადებას ვაძლევთ მობრძანდეს შერემეტიევის საავათმყოფოში. პირველად ყოვლისა ის აქ დაინახავს ეკლესიას, სადაც ყოველ შაბათს და კვირას სრულდება ღვთის მსახურება, სადაც იწვევენ ყველა მსურველთ, „მორწმუნე“ ავათმყოფებს და მოსამსახურეებს. აქ ხანდახან მოდის თვით „უწმინდესი პატრიარქი“ ტიხონი და არწმუნებს თავის ქადაგებით „მართლმორწმუნე სამწყსოს“ დაუპირდაპირონ ეკლესიის მტრების (იგულისხმე ბოლშევიკების) აგიტაციას—თავისი „წმინდა“, ქრისტიანული მოძღვრება“. შემდეგ ავტორი აშკარავებს იმ ძველ განწყობილებას, რომელიც სუფევს საავათმყოფოში და რომელსაც არც კი შეხებია ოქტომბრის რევოლუცია; მოჰყავს რამოდენიმე ფაქტი და დაასკვნის: „სირცხვილი ჩვენ, ვინც ხელი არ შეუშალეთ რევოლუციის შუაგულში, წითელ მოსკოვში, ძველ კუნჭულების ხელშეუხებლათ დარჩენა! დროა ახადოთ ბნელი ფარდა, რომელიც ჰფარავს გრაფ შერმეტიევის საავათმყოფოს, დროა შევუშვათ შიგ ახალი, განმკურნებელი, რევოლუციონური ჰაერი. („პრავდა“ № 264).

არ არის მეურნეობის გეგმა... ლიტვინოვი „პრავდაში“, ეხება რა წარმოების ზოგიერთ საკითხებს და ვ. ს. ნ. (სრულიად რუსეთის სახალხო მეურნეობის საბჭო) მოღვაწეობას, სწერს: „არ არის მეურნეობის გეგმა. არ არის საერთო მუშაობა, მთლიანობა. უწყებათა შორის ბრძოლა შეუწყნარებლათ გრძელდება. შემოიღეს დამკვიდრებული სისტემა, და ჯვარედინი დამკვიდრებული ხშირათ ზედამკვრელიც გახდა: სანიმუშო წუმწუმის ქარხნის აშენებაც კი, რომელიც მზათ უნდა იყოს 1924 წელს? (და ეს იმ დროს, როდესაც ისე ცოტაა სადღემშენებლო მასალა, რომ ის კმარა გადაუდებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათაც კი.)

„გლავლესკომს“ სურს უმთავრესი ყურადღება მიაქციოს ექსპორტს, ნ. კ. პ. ს. კ. აცხადებს, რომ ამ შემთხვევაში შეჩერდება რკინის გზები, რომ არ არის შპალები და სხ. მტკიცე, ხელმძღვანელი ცენტრი არა გვაქვს“!

შემდეგ ავტორი ეხება „სპეცების“ მოღვაწეობას, აკრიტიკებს მის „გუბერნობას“ და იმ კონსერვატიულ სულს, რომელიც სუფევს სხვადასხვა განყოფილებებში და ამის მაგალითად მოჰყავს ერთი შემთხვევა: „ინჟინერ კლასონმა გამოიგონა ახალი საშუალება, რომელიც აუმჯობესებს ტორფის ამოღებას. სოციალისტური სახელმწიფო მეტად საჭიროებს სათბობ მასალას. თითქოს აქ ლაპარაკიც კი არ უნდა ყოფილიყო. პირდაპირ უნდა აემუშავებინათ ეს გამოგონება, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ეს არც თუ ისე ადვილი ყოფილა. ამ გამომგონებლებს მოუხდათ ცეცხლსა და სპილენძის მილებში გავლა, სანამ თვით ამხ. ლენინი არ ჩაერია საქმეში და არ დაიძრა ის გაყინვის წერტილიდან“

„ავიღოთ საქმის კიდევ ერთი მხარე: ანგარიშები. აქაც მხოლოდ გაკვრივებული რიცხვები, ციფრები და ანგარიშები ერთს ამბობენ, ხოლო შეუბრალებელი სინამდვილე სრულიად წინააღმდეგს ამტკიცებს. საუკეთესო ილიუსტრაცია—„გლავუგლის“ ანგარიშია.

ამხ. ქსანდროვი „გლავუგლის“ ციფრების მიხედვით—ერთსა სწერს, ამხ. სოსნოვსკი, ფაქტების მიხედვით სრულიად სხვას ამტკიცებს, ამხ. ჩუბარი კი თავის დახწევასა სცდილობს. ეს ხომ მხოლოდ ერთი შემთხვევა არ არის. პრესაში გამოქვეყნებული ყოველივე ანგარიში მთელს დისკუსიას იწვევს, რომელშიაც უბრალო მომაკვდავს პირდაპირ არ ძალუძს გარკვევა“.

ბიუროკრატიზმის შესახებ ის სწერს: „ეს ხდება სოციალისტურ სახელმწიფოში, სადაც ნაყოფიერი შრომა უპირველესი მოვალეობაა ყოველივე მოქალაქისა და სადაც მუშა ხელის ნაკლებობა ყველაზე უფრო მწვავეთ საგრძნობია. არსებობს, მაგ., „გლავვანილი“, რომლის სათავეში სდგას, თუ არა ვცდები, პროფესორი. ეს „გლავკი“ განაგებს რამოდენიმე „ცვე“ ქარხანას. მხოლოდ ერთი ქარხანა მუშაობს, სადაც მუშაობს 150 კაცი, თუ ნაკლები არა. „გლავკში“ კი—50 მიწერ-მოწერით გართული თანამშრომელია. და ასეთი მაგალითების რიცხვი აურაცხელია“. („პრავდა“ №262)

„წითელ“ აზერბაიჯანში!

ბინის საკითხი. ბაქოს „ისპოლკომის“ პლენუმის სხდომაზე ყველა მუშათა ორგანიზაციებთან ერთად მოსმენილ იქნა სხვათა შორის მოხსენება ბინის საკითხის შესახებაც. მოხსენებიდან სჩანს, რომ ბაქოში 10 ათასი ოთახი დაკავებულია საბჭოთა დაწესებულებათა მიერ დანარჩენი 50,000 ოთახი უნდა ეყოს 250,000 მცხოვრებს. ბურჟუაზიულ სახლებში შეიძლება მხოლოდ 5,000 მუშის ჩასახლება.

მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობა. აზრევკომის დეკრეტის თანახმად დაარსდა სპეციალური კომისია, რომლის მიზანს შეადგენს ბაქოს მუშათა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესება; ეს კომისია აერთებს ყველა არსებულ კერძო კომისიების—სასურსათო, საბინაო, სათბობი მასალის, მშენებლობით და სხვათა მოღვაწეობას. დეკრეტის გამოცემა დასაბუთებულია მუშათა კლასის მძიმე მდგომარეობით.

ნეკროლოგი

ამხ. ნიკოლოზ ბარამიძე.

დაუნდობელმა სიკვდილმა სიცოცხლეს გამოასალმა კიდევ ერთი საუკეთესო ამხ. გვარდიელი ნიკოლოზ ბარამიძე.

ყველამ კარგათ უწყის ის შავი დღეები, რომელიც განვლო ამ სამი წლის განმავლობაში სახალხო გვარდიამ და კერძოთ სახალხო გვარდიის საგანგებო ბათალიონმა, რომლიდანაც არა ერთი და ორი შეეწირა მსხვერპლათ საქართველოს დამოუკიდებლობას.

ნიკოლოზიც, როგორც წევრი სახ. გვარდიის საგანგებო ბათალიონისა, ამ ხნის განმავლობაში თავის ამხანაგებთან ერთად თავ-გამოდებით იბრძოდა რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის განსამტკიცებლათ. ის ახალგაზრდულის გატაცებით შეჰყურებდა მომავალს; მას სწამდა უკეთესი მომავალი, მაგრამ ბედმა უმტყუნა და 19 დეკემბერს სახალხო გვარდიის საავათმყოფოში საუკუნოთ გამოესალმა წუთისოფელს. ამხ. ნიკოლოზის დაკარგვით სახ. გვარდიის საგანგებო ბათალიონმა დაჰკარგა საუკეთესო მებრძოლი. ის მოგვცილდა ფიზიკურად. მაგრამ მის წმინდა სახელს ვერავითარი საშალი ვერ წაშლის ჩვენს მეხსიერებაში.

ამხ. ნიკოლოზ! შენ ამ სამი წლის განმავლობაში უკვე მოიხადე უძვირფასესი მოვალეობა საქართველოს დემოკრატიის წინაშე. მაგრამ ჯერ კიდევ არ დამთავრებულა ბრძოლა უკეთეს მომავლისათვის და ჩვენ აღთქმას ვდებთ, რომ განვაგრძობთ თავ დადებულ ბრძოლას მომავალშიაც და არავის უფლებას არ მივცემთ ფეხქვეშ გასთელონ საქართველოს დემოკრატიის ნება სურვილები და რევოლუციის მიერ ნაანდერძევი წითელი დროშა...

გვარდიელი ე. ბროკიშვილი.

პასუხისმგებლობა ისტორიის წინაშე

ისტორია საუკეთესო იარაღი და სარკეა წარსულის გადასასინჯავათ: ის იძლევა მდიდარ მასალებს ამა თუ იმ ხანის საზოგადოებრივი მოძრაობის ხასიათის, მიმართულების და ხელმძღვანელ კლასის, ჯგუფის თუ პიროვნების მოღვაწეობის საბუთებს. ამავე დროს ისტორიული წარსულის სწორათ გათვალისწინებით საშუალება ეძლევა ახალთაობას ძაფი გააბას ახალსა და ძველს შორის, შეიცნოს და შეითვისოს მისი ჭეშმარიტი მეთოდი, მიზან შეწონილათ შეუფარდოს ის თანამედროვე მოძრაობას, რათა ეს უკანასკნელი აიყვანოს შესაფერ დონეზე.

იმავე ისტორიის პირდაპირი დანიშნულება, სხვათა შორის, გახლავთ სააშკარაოზე გამოამზეუროს ქვეყნის ერთგულნი და ორგულნი და ის გადასცეს საზოგადოებრივ სამ ჯავროს. დარწმუნებული ვართ, რომ პასუხისმგებელს პასუხს მოეთხოვებათ.

„ერთობის“ № 283 მოკლეთ, მაგრამ უტყუარი საბუთებით, აღვნიშნეთ სამეგრელოში ბოლშევიკების „მოღვაწეობა“. ეხლა საჭიროთ მიგვაჩნია საზოგადოებას გავაცნოთ სოხუმის ოლქში მათ მიერ ჩადენილი „საქმეები—სამირონე“ დაწყებული 1918 წლიდან.

მოგეხსენებათ, რომ სოხუმის ოლქი თავის მოსახლეობით მეტათ ჭრელია. ასეთი კუთხე რესპუბლიკაში მეტიც არ მოიძებნება. მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენს ახლო თუ შორეული ადგილებიდან გადმოსახლებულები. ოლქის მობინადრე მცხოვრებნი შესდგება სხვადასხვა ეროვნებისაგან, მაგ., მეგრელები, სომხები, ბერძნები, რუსები და სხვ. მკვიდრნი არიან აფხაზები. ცნობილია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ იმ ტერიტორიაზე, სადაც მოსახლეობა ჭრელია, ადვილია ერთა შორის მტრობის და შურის დათესვა. 1918 წ. ბოლშევიკებმა სცადეს სოხუმის ოლქის საქართველოსაგან მოგლეჯა და რუსეთზე შეერთება. გადაისროლეს ლოზუნგი: „ძირს საქართველო“, „გაუმარჯოს რუსეთს“. ჩუმათ თუ აშკარათ ხალხს აგონებდნენ, რომ სოხუმის ოლქი რუსეთის განუყოფელი ნაწილია და რა ხელი აქვს აქ საქართველოსო.

ასეთმა დემაგოგიამ სოხუმის ოლქში მოამზადა ნიადაგი მეორე რეაქციონური ჯგუფის გამოსაჩენად ცნობილ ალექსანდრე შერვაშიძის მეთაურობით, რომლის ორიენტაცია იმითი განსხვავდებოდა ბოლშევიკებისაგან, რომ ის სოხუმის ოლქის მცხოვრებთ მოუწოდებდა ოსმალეთისაკენ ამნაირად, ოლქში აფრიალდა ორი დროშა: რუსეთის და ოსმალეთის ორიენტაციისა. ჯერი მიდგა არჩევანზე. მასსა პირველ ხანებში დაიბნა და ყოყმანში ჩავარდა. ბოლშევიკები ოლქში გავრცელებული დაძრწოდნენ და ურჩევდნენ ხალხს, ორში ერთი: ან რუსეთი, ან ოსმალეთი, მესამე, ე. ი. საქართველო, თქვენთვის დამღუპველია მას უთუოდ გამოეთიშოთო.

ადგილობრივ ხელმძღვანელ ბოლშევიკებმა, სახელდობრ: ს. კუხალეიშვილმა, დ. ეშბა, ლაკობა და სხვ. დიდი ენერგია დახარჯეს, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ვეროფერი გააწყვეს: მთელმა ოლქის მცხოვრებმა საქართველოს ორიენტაცია არჩია.

როდესაც ბოლშევიკებმა შეიტყვეს, რომ მათ „მოღვაწეობას“ ნიადაგი ეცლებოდა, ხელი მიყვეს პროვოკაციას, აფხაზები წაუსისიანეს მეგრელებს, სომხებს, ბერძნებს და რუსებს. ამნაირად, მზადდებოდა ნიადაგი ერთა შორის ხოცვა-ჟლეტის, მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი ამხანაგების საქმეში ჩარევამ მდგომარეობა გამოასწორა და ხალხმა თავიდან აიცილა ბოლშევიკების „საქმიანობით“ მოსალოდნელი განადგურება და სისხლის ღვრა.

მოკლე წერილში მეტად ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა დაწვრილებით, მაგრამ, რაც სანიმუშოდ აღვნიშნეთ, ეგეც საკმარისად ახასიათებს მათ ფიზიონომიას.

დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ ჩემი სურვილი არ იყო და ახლა ამისი არც მქონდა, დაწვრილებით შევხებოდი ბოლშევიკების „ხელქმიანობას“ სამეგრელოს და სოხუმის ოლქში, თვითონ ის ხალხი, რომელმაც თავის თავზე გამოსცადა ბოლშევიკების ავანტიურა, თავის დროზე პასუხს მოსთხოვს დამნაშავეებს. მე მაიძულა ბოლშევიკების „მოღვაწეობა“ ერთხელ კიდევ აღმენიშნა იმ გარემოებამ, რომ ისინი „ახალ კომუნისტის“ ფურცლებზე, დღესაც განაგრძობენ მტკიცებას, თითქოს მათ დიდი ამაგი მიუძღვის სოხუმის ოლქის და სამეგრელოს რევოლუციონურ მოძრაობაში და ეს მოძრაობა „ახალი კომუნისტი“ს სიტყვებით თურმე იყო ბოლშევიკური მოძრაობა კომუნისტების მეთაურობით და კომუნისტებს ეხლა თურმე დიდი გავლენა

ტომ რომ, რუსეთმა დაარქვა თავის ქვეყანას „სოციალისტური რესპუბლიკა“, თუმცა იქ სოციალისტური იმდენია, რამდენიც ჩინეთში; თქვენ კი ამის შიშით დაარქვით „შრომის რესპუბლიკა“ და გგონიათ, რომ სიტყვის შეცვლით, რაღაც განსხვავება მოახდინეთ (ხმაური) მე ვამბობ, რომ ამ უტოპიურ ელემენტებს ამ ახალ „შრომის რესპუბლიკასას“, ჩვენ გავარჩევთ პარალელურათ რესპუბლიკის მთავარ დებულებებთან შედარებით; რაც შეეხება ზოგად პრინციპებს, იმათ შესახებ ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ ახლავე. აქ გუშინ მკაფიოთ განგვიმარტეს პრინციპები ესერების პროექტისა: საყოველთაო შრომის უფლება, შრომის ბეგარა და ფართო კოლექტივიზაცია ანუ სოციალიზაცია. ყოველივე ეს კი გახლავთ შინაარსი იმ დეკრეტების, რომელნიც საბჭოთა რუსეთმა გამოსცა თავის ანტიდემოკრატიულ კონსტიტუციის, ასე ვთქვათ დამატებით, მაგრამ თავისთავად ეს დებულება ფილოსოფიურად ცნობილია, როგორც საფუძველი დიდი უტოპიური თეორიისა (ილია ნუცუბიძე—თქვენ წინააღმდეგი ხართ?) ეს საფუძველია ევროპის დიდ უტოპიური თეორიისა, იქიდან გადმოღებული რუსეთის დიდ ესერების მიერ და ამ უკანასკნელთა ნათქვამიდან განმეორებული ჩვენი პატარა ესერებისაგან. ეს უტოპია არის ძველი უტოპია, რომლის ძირითადი დებულებების განიავება თუთხმეტჯერ მაინც დაამტკიცა ისტორიამ მეოცე საუკუნემდე. (ხმაურობა).

ამ საერთო დებულებებიდან მე მინდა გადავიდე ჩვენი კონსტიტუციის შინაარსის ორ მთავარ ელემენტის, პოლიტიკურ და სოციალური მხარის აღნიშვნაზე, ეს ორგვარი შინაარსი გახლავთ განსხვავება ჩვენი კონსტიტუციისა ევროპის სხვა ყველა კონსტიტუციებისაგან, სადაც მთავარი მომენტი არის ერთადერთი პოლიტიკური მხარე, პოლიტიკურ წყობილება, და სადაც მხოლოდ ერთ პუნქტში არის გამოთქმული ხელშეუხებლობა საკუთრებისა. ასეთია საფუძველი ყველა ევროპიულ ბურჟუაზიულ კონსტიტუციებისა; ხელშეუხებლობა პიროვნებისა და საკუთრებისა, აი ქვაკუთხედი,რაზედაც შენდება შემდეგ პოლიტიკური ურთიერთობა, რომელიც შეეფერება ძალთა განწყობილებას (ხმა ესერების ფრაქციიდან: ამას იმეორებთ თქვენც). ამას ძალიან გვთხოვენ თქვენი ანტიპოდები, მაგრამ ჩვენ ამას არ ვიმეორებთ, თუმცა ისინი ძალიან გულნაწყენი გვრჩებიან. (კიდია—გეშინიათ და იმიტომ). ჩვენ ყოველ შემთხვევაში თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ არ გვეშინია იმ ბურჟუაზიის წარმომადგენლებისა, რომლებიც აქ სხედან და რომელთა შესახებაც იყო განცხადებული, რომ მათი არსებობა უდრის არ არსებობას. (კიდია: პროლეტარიატი არ ებობა?) პროლეტარიატის არსებობა კი დემ. კიდია უდრის სახელმწიფოს არსებობას, ვინაიდგან იგია შემქმნელი იმისა, რაც დღეს აქ არის.

ეხლა გადავიდეთ სახელმწიფოებრივ წყობილების პოლიტიკურ მხარის გარჩევაზე. პოლიტიკურ წყობილებაშიც დიდი განსხვავება არის ევროპის დემოკრატიულ წყობილებისა და ჩვენ რესპუბლიკას შორის. ეს გამოიხატება შემდეგ ძირითად დებულებებში: ჩვენი ერის უზენაესობა აქაც მიღებულია ისე, როგორც ყველა დემოკრატიულ კონსტიტუციაში. მაგრამ, თვით ორგანიზაცია ამ უზენაესობის განხორციელებისა, არის უაღრესად დემოკრატიული, ისე როგორც არ არის არც ერთ ევროპიულ კონსტიტუციაში. დემოკრატიულ წყობილების დამახასიათებელ თვისებათ ჩვენს კონსტიტუციაში ჩაითვლება მოწყობა აღმასრულებელ ხელისუფლებისა, სიფართოვე საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციებისა, მისი მუშაობისა და ურთიერთობა, (ცენტრალურ მთავრობისა და ადგილობრივ თვითმართველობის შორის. ეს სამი საგანი არის უზენაესობის კონკრეტიული გამომხატველი კონსტიტუციის ფარგლებში. აქ არ არის ამ მხრივ მიღებული პირდაპირი დემოკრატია. ბ. ლეო შენგელაიამ, როდესაც თავის სიტყვა წარმოსთქვა, განაცხადა, აქ არ არის პირდაპირი დემოკრატია, მაშასადამე არის მთავრობის ბატონობაო. მაგრამ როცა გადავხედეთ მათ კონსტიტუციას, ვნახეთ იგივე პარლამენტარული წყობილება საზოგადოთ, მხოლოდ პარლამენტის ნაცვლად საბჭოს სახელით, იმათი პროექტის მე 3 მუხლში ნათქვამია, რომ ამას ხალხი ახორციელებს ან უშუალოთ, ან თავის წარმომადგენლების საშუალებითო (შენგელაია—დიახ, დიახ), მაშასადამე აქაც არ არის პირდაპირი დემოკრატია. კონსტიტუციონური ელემენტი იქაც ისევე დასახული, როგორც ჩვენს გვაქვს გატარებული პროექტში, რომელმაც რეალურად ხორცი უნდა შეისხას და ცხოვრების სამოქმედო გეგმათ გახდეს მაშასადამე აქ პრინციპიალური დავა არ არსებობს.

ჩვენს პროექტში არსებითად პარლამენტი არის აღჭურვილი ისეთი ფუნქციებით, რომ მან უნდა განაგოს ფაქტიურად ბედი რესპუბლიკისა, ეს არის მთავარი ძალა, შექმნილ ყველა დანარჩენი ხელის უფლების, და ეს ძალა იმორჩილებს ერთად ერთ მთავარ კონტროლს—ხალხს, რეფერენდუმის და არჩევნების საშუალებით, მაშასადამე, ხალხს, ერს ერთი უმთავრესი ორგანო აქვს—პარლამენტი და მისი მეოხებით ხალხი განაგებს მთელ თავის ბედს, ჩვენი კანონებით სასამართლოს ხელის უფლების მთავარი ორგანო, სენატი ირჩევა პარლამენტის მიერ, მაშასადამე აქ არის ძაფი გაბმული კანონმდებლობისა და სასამართლოს შორის, აქაც მთავარი წყარო სამოსამართლო ხელის უფლებისა არის იგივე პარლამენტი; აღმასრულებელ ხელისუფლების მეთაურსაც ირჩევს იგივე პარლამენტი და აქაც უზენაესობა კონსტიტუციის ფარგლებში პარლამენტს ეკუთვნის, როგორც ამას ამბობს სათანადო მუხლი ჩვენი კონსტიტუციის კანონ პროექტისა. ამაშია პრინციპიალური უარყოფა იმ დებულებისა, რომელიც ბ. გვაზავამ წამოაყენა და რომელიც ამბობს, რომ სასამართლო უნდა იყოს კონტროლი კანონმდებლობისაო. დიახ, ამ მთავარი დებულებით არის ეს პრინციპიალურათ უარყოფილი; სასამართლო არ არის კონტროლი, იგი მხოლოდ აღმასრულებელი ორგანოა. (ბარათაშვილი—სასამართლო აღმასრულებელი ორგანოა?) დიახ, დიახ, აღმასრულებელი ორგანოა სასამართლოს სფეროში.

და აი მე ვამბობ რომ, ამ მთავარ დებულებიდან გამომდინარეობს პრინციპიალური უარყოფა იმისა, რაც წამოაყენა გ. გვაზავამ, ე. ი. სასამართლოს კონტროლი პარლამენტზე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პარლამენტი უპასუხისმგებლოა, რომ იგი ყოვლის შემძლეა, რომ ის ადგება ერთ დღეს და გააუქმებს ჩვენს კონსტიტუციას. ამის მაგალითია ხალხი, ძალთა განწყობილება და ის პოლიტიკური ბრძოლა, რომელიც ყოველთვის თანახლავს პარლამენტის მუშაობას. ეს გარანტია არსებობს ყოველ დემოკრატიაში, და ეს ერთად ერთი რეალური საფუძველია ყოველი კონსტიტუციისა. მართლაც დიდი გატაცებული უნდა იყოს კაცი იურიდიული ნორმების ძლიერებით, რომ მან სთქვას, საკმაოა დავსწეროთ, სასამართლო არის კონტროლი პარლამენტისა და სამუდამოდ უზრუნველყოფილი იქნება კონსტიტუცია დარღვევისაგანო; მეტი რომ არა ვსთქვათ, ეს დიდი იურიდიული კრეტინიზმია. არ შეიძლება ასეთი საქმე მიანდოთ რომელიმე დაწესებულებას ისე, რომ მეტ დამცველს იგი აღარ საჭიროებდეს, რეპლიკებში ბ-ნ გვაზავას სამართლიანად უპასუხეს, რომ შეიძლება სასამართლომ დაადგინოს უკანონოთ, მაშინ ვის მივმართოთ (კიდია—დღეს ვინ ადგენს უკანონოთ?, შეიძლება ადგენს, ბატონო, მაგრამ სამწუხაროდ. (კიდია—მაშ უარვყოთ სასამართლო.)

(დასასრული იქნება)

აქვთ დასახელებულ კუთხეების მშრომელ დემოკრატიაზე.

თუ რამდენად მართალი ბრძანდებიან ამ შემთხვევაში ბ-ნნი კომუნისტები, ამის გამოცნობა მკითხველისთვის მიგვინდვია.

ბ. ძველაია.

პროფესიონალურ კავშირებში

აღმასრულებელ კომიტეტში.

20 ოქტომბერს, შესდგა საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის სხდომა, სადაც განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

კურსების გახსნა. 1 იანვრიდან გაიხსნა პროფესიონალური მოძრაობის კურსები. კურსების სამეურნეო ნაწილის ხელმძღვანელობა დაევალოს ამხ. თელიას.

სტამბის შეძენა. მოსმენილ იქნა მოხსენება აღმასრულებელ კომიტეტისა და რკინის გზის ცენტრალურ გამგეობისათვის კოზლოვსკის სტამბის შეძენის შესახებ. აღმასრულებელ კომიტეტმა იქონია რა ამ საკითხის შესახებ მსჯელობა, დაადგინა: არჩეულ იქნას ოთხი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალოს ხსენებულ საკითხის მოგვარება და ამისთვის საჭირო ფულის შეძენა.

ბორჩალოს მაზრის კავშირების შესახებ. აღმასრულებელმა კომიტეტმა მოისმინა ცნობა ბორჩალოს მაზრის კავშირების შესახებ, რომ იქ ადგილი ქონია კავშირებში არევ-დარევას და განხეთქილებას. ამ საქმის მოსაწესრიგებლად და ადგილობრივ საქმის გამოსარკვევად აღმასრულებელი კომიტეტი აგზავნის ბორჩალოს მაზრაში ამხანაგ თელიას, რომელიც შემდეგ მოხსენებით წარუდგება აღმასრულებელ კომიტეტს.

მუშათა ბიუჯეტის შესწავლის საქმე. მუშათა კანონმდებელ კომისიამ შეიმუშავა ფურცელი, რომლის მიზანია, მთელ რესპუბლიკაში მუშათა მდგომარეობის გამორკვევა და მათი შემოსავალ-გასავლის შესწავლა. ამ მიზნით ფურცელზე დასმულია მთელი რიგი საკითხებისა, რომელზედაც უნდა უპასუხონ მუშებმა ხსენებულ ფურცლის განხილვა და მასში საჭირო შესწორებების შეტანა მიენდო აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმს.

კავშირების გაერთიანებისათვის. ამხ. აბდუშელიშვილი აცნობს სხდომას, რომ ზოგიერთი კავშირები არ შედიან ადგილობრივ ცენტრში. ის აუცილებელ საჭიროთ სცნობს, რომ მუშები შედიოდენ როგორც ადგილობრივ ცენტრში, ისე ადგილობრივ გაერთიანებულ კავშირებში. გარდა ამისა, უნდა გამოირკვეს, თუ რამდენი უნდა იხადონ მათ. ხსენებულ საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. აღმასრულებელი კომიტეტის ზოგიერთი წევრები ამტკიცებდენ, რომ ეს მოუხერხებელია ტეხნიკურად და მოითხოვდენ ეს საკითხი გადაეცემოდა განსახილველად ცენტრალურ გამგეობებს. მიღებულ იქნა: ეცნობოს ცენტრალურ გამგეობებს, რომ მათ ეს საკითხი დასვან განსახილველად დღის წესრიგში. ამის შემდეგ კი მოწვეულ იქნას ცენტრალურ გამგეობების წარმომადგენელთა თათბირი, რომლის გადაწყვეტილებაც მიღებულ იქნება ცხოვრებაში გასატარებლათ. ამასთან ერთად დაევალოს კომისიას, რომელსაც მინდობილი აქვს კავშირების მდგომარეობის გამორკვევა, შეისწავლოს ეს საკითხი და ამასთანავე გამოარკვიოს, თუ რამდენი უნდა იხადონ ხსენებულ კავშირებმა. საქმის გამორკვევის შემდეგ კომისია თავის აზრს წარუდგენს აღმასრულებელ კომიტეტს.

საქმის წარმოება. აღმასრულებელ კომიტეტს ეცნობა, რომ მუშათა საკანონმდებლო კომისიამ შეიმუშავა საქმის წარმოების ფორმები, რომელიც ახლო მომავალში დაიბეჭდება და დაურიგდება პროფესიონალურ კავშირებს პირველ იანვრიდან ცხოვრებაში გასატარებლათ.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 11 დეკემბერს, ტრამვაის ადგილობრივ სოც.-დემ. მცირე კოლექტივის მიერ მოწვეულ იქნა საზოგადო კრება, რომელსაც დაესწრო 200-მდე პარტიის წევრი.

რესპუბლიკის საგარეო და საშინაო მდგომარეობის შესახებ მოხსენებას აკეთებს დამფ. კრების წევრი ამხ. მუხრან ხოჭოლავა. ჯერ მომხსენებელი ვრცლად აცნობს კრებას ჩვენს ირგვლივ შექმნილ საერთაშორისო მდგომარეობას და შემდეგ გადადის ჩვენი საშინაო მდგომარეობაზე. აქ მომხსენებელმა გააცნო კრებას მთავრობის უკანასკნელი დადგენილებანი პურის რაციონის გადიდებისა და მუშა მოსამსახურეების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესობის შესახებ. ამ საჭიროებისათვის მთავრობამ გაიღო ოთხასი მილიონი მანეთი. მომხსენებელმა განმარტა „უმაღლესი ეკონომიური საბჭოს“ მნიშვნელობა, როგორც მუშებისთვის, ისე სახელმწიფოებრივის მხრივ. განმარტა აგრეთვე საკითხი ეკლესიების ქონების ჩამორთმევის შესახებ და განაცხადა, რომ გელათის მონასტრის ჩამორთმეული ქონება რამდენიმე მილიარდს უდრისო. დასასრულ ორატორი აღნიშნავს შეკავშირების და ორგანიზაციულ მუშაობის დიდ საჭიროებას. იყო სხვადასხვა შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა. კრება მეტად კმაყოფილი დაიშალა და სურვილი გამოსთქვა, რათა ხშირად იკითხებოდეს ასეთი მოხსენებები.

კოწია შენაიშვილი.

— —

საჩხერე. 17 ნოემბერს ადგილობრივ კოლექტივის ბინაზე შესდგა საჩხერის რაიონის კოლექტივის კრება. კრებამ განიხილა ჭიათურის რაიონის ს.-დ. კომიტეტის დადგენილება ამხ. ვასილ კაპანაძის განთავისუფლების შესახებ და გამოსთქვა ღრმა მწუხარება მისი საჩხერის თემის თავმჯდომარეობისაგან მოხსნის გამო.

კრებაზევე ირკვევა, რომ საჩხერის დაბახანის მუშები არიან მეტად უმწეო მდგომარეობაში. კრებამ იქონია ამის შესახებ მსჯელობა და დაადგინა—გაგზავნილი იქნენ ამხ. გიორგაძე და მეტნიძე მდგომარეობის გამოსარკვევად; მომავალ სხდომისათვის კი მოწვეულ იქნენ სამინისტროს რწმუნებული და მუშები საქმის მოსაგვარებლათ.

კრებამ მოისმინა ქორეთის საგამომძიებლო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, მიწის მიმღებ კომისიის მუშაობის შესახებ, საიდანაც ირკვევა, რომ კომისიის მუშაობაში ბევრ არასასურველ მოვლენებს ჰქონდა ადგილი. კრებამ მწუხარება გამოსთქვა ამის გამო და დაავალა კომისიას თავისი საბოლოო დასკვნა წარმოადგინოს მომავალ სხდომისთვის.

შემდეგ კრება ისმენს ამხ. შ. გოდაბელიძის მოხსენებას ტყეებით არაკეთილსინდისიერად სარგებლობის შესახებ და ევალება ამხ. პაპავას, მიიღოს ყოველგვარი ზომები საქმის მდგომარეობის გასაჯანსაღებლათ.

შალიკო ხვადაბუნელი.

— —

თფილისი. 18 დეკემბერს შესდგა ს.-დ. მ. პარტიის მე-3 რაიონის მე 7-დე იაჩეიკის წევრთა საზოგადო კრება.

კრება ისმენს მოხსენებას კომუნისტების არალეგალურ მუშაობის შესახებ საქართველოში და გამოაქვს რეზოლიუცია, რომელშიაც კრება ჰკიცხავს ბოლშევიკების მეთოდებს, აღიარებს ბოლშევიკურ რეჟიმს დამღუპველათ მუშათა კლასისათვის და იმედს გამოსთქვამს, რომ საქ. დემოკრატია შეძლებს დაიცვას საკუთარი თავის ორიენტაცია, რასაც შეუძლია იგი იხსნას განადგურებისაგან.

შემდეგ კრება ადგენს გაძლიერებულ იქნას პარტიული მუშაობა და სასტიკად დაცულ იქნას პარტიული დისციპლინა.

დასასრულ მოხდა ქვეკოლექტივის არჩევნები, რომელშიაც არჩეულ იქნენ: ს. ორაგველიძე, პ. რამიშვილი, ი. ავალიძე, ა. დემირხანოვი, მ. ნიკურაძე, ა. ჯვარიშვილი და ტ. ხუნდაძე. კანდიდატებად: ბ. მეგრელიშვილი, დ. დოლიძე და პ. ჩარკვიშვილი.

მდივანი ბიქტორ მეგრელიშვილი.

მუშათა შორის

ტყიბული. 18 ნოემბერს შესდგა ტყიბულის მაღაროების მუშათა კრება, რომელსაც დაესწრო საგანგებოთ მოწვეული სხვა ამხანაგებიც. გასარჩევი იყო: 1) მეცადინეობის დაწყება მუშებში და 2) „ახალი სხივის“ შესახებ.

პირველ კითხვაზე ამხ. დ. ხუციასი აცნობს კრებას კოლექტივის წინა კრების დადგენილებას მუშებში მეცადინეობის დაწყების შესახებ და მოუწოდებს ამხანაგებს, რომ ყველამ, ვისაც შეუძლია ამ მხრივ მუშაობა, დაეხმაროს კოლექტივს. კრებამ ეს წინადადება მოიწონა, გამოიმუშავა გეგმა და ყველა ამხანაგმა დაივალა, რომ ისინი იკითხავენ ჟურნალ-გაზეთებს, გაერთავენ საუბრებს და სხვას. ასეთი მეცადინეობა სისტემატიურათ იწარმოებს მუშებში საღამოობით.

„ახალი სხივის“ არსებობის და მისი ცენტრალურ პარტიის ორგანოსთან დამოკიდებულების საკითხმა ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. უმცირესობა იცავდა იმ აზრს, რომ „ახალი სხივის“ არსებობა პარტიისთვის საჭიროა და თან სასარგებლო, მხოლოდ საჭიროა, რომ მისი წერილები იწერებოდეს უფრო ამხანაგური კილოთი. მეორე ნაწილი მოითხოვს: შეწყდეს „ახალი სხივის“ გამოცემა, ხოლო ცენტრალურმა ორგანომ მისცეს სრული გარანტია ოპოზიციას თავისი აზრი გამოსთქვას „ერთობა“-„ბორბაში“. უმრავლესობა იცავს იმ შეხედულებას, რომ ოპოზიცია უნდა თავსდებოდეს მხოლოდ პარტიულ ჩარჩოებში და იქ ეწეოდეს ბრძოლას. რაკი ოპოზიცია იარსებებს ცალკე, ეს აღარ შეიძლება ჩაითვალოს პარტიაში არსებულ ოპოზიციათ, არამედ—დასაწყისათ პარტიის გათიშვისა; ამიტომ „ახალი სხივი“ უნდა უეჭველათ დაიხუროს და „ახალ სხივლებმა“ ოპოზიცია აწარმოვონ შიგნით პარტიაში.

მიღებულ იქნა უკანასკნელი წინადადება.

„ზეგი“.

— —

თფილისი. თანახმად მთავრობის განკარგულებისა დახურულ იქნა თფილისის და სხვა ქალაქების მთელი რიგი კაფე-რესტორანები და კლუბები. აღნიშნულ გარემოებამ პროფესიონალური კავშირი, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩააგდო, ვინაიდან რესტორან-კლუბების დახურვამ ბევრი მუშა-მოსამსახურენი უადგილოდ დატოვა. პროფესიონალურ კავშირის საერთო კრებამ, იქონია რა მსჯელობა ამის შესახებ, დაავალა გამგეობას შესაფერი ზომების მიღება. მუშა-მოსამსახურეებისათვის უნდა გამოინახოს რაიმე საშუალება, რომ ისინი ღვთის ანაბარად არ დარჩნენ. გამგეობამ გამოჰყო უმუშევართა დამხმარე კომისია, რომელშიაც შედიან: მ. შმულევიჩი, ვ. ვარჯაძე და პანტ. ჭანიშვილი. კომისიამ წინადადებით მიმართა სარეწაო დაწესებულებათა „შამპანის“, „გენეს“, „ორიანტის“, „ინტერნაციონალის“ სასტუმროს, საგანელოვის, ზარანძის, პუშკინის სასადილოს პატრონებს, რათა მათ მიიღონ უმუშევარნი. ზარანძემ მიიღო ერთი უმუშევარი, აგრეთვე ვორონცოვის ძეგლთან არსებულ კაფე რესტორანმაც („ამპირი“) მიიღო ერთი უმუშევარი, სასტუმრო „ნომაც“ ერთი. დანარჩენებმა კი კომისია უარით გაისტუმრეს. გენეს საკანდიტერომ, „შამპანმა“ და „ორიანტმა“ სურვილი გამოსთქვეს ჯამაგირის გადების შესახებ უმუშევართა სასარგებლოთ, სამუშევარზე მიღების შესახებ კი უარი განაცხადეს. კომისიამ ამნაირი კომბინაცია უარყო, როგორც მუშა-მოსამსახურის პიროვნების შემბღალავი, და მოიწვია კავშირის დელეგატთა ყრილობა.

ყრილობა 16 დეკემბერს შეიკრიბა; დაესწრო 26 დელეგატი. მდივნათ პანტ. ჭანიშვილმა გააკეთა ვრცელი მოხსენება კომისიის მუშაობის შესახებ. გაიმართა კამათი. ილაპარაკეს ამხან. ხუხუნაშვილმა, უნგაიძემ და სხვებმა. მიღებულ იქნა რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს სერიოზული ზომების მიღებას თანახმად კავშირის წესდებისა, რათა უმუშევარნი ულუკმა-პუროთ არ დარჩნენ.

დასასრულ ამხ. ხუხუნაშვილის წინადადებით ყრილობამ დაადგინა, რათა რესტორანებში მომუშავეთ გაუდიდდეთ პროცენტები 10 დან 20-მდე.

თავმჯდომარე **ლუკა პატარიძე.**

—

მკერავთა შორის. მკერავები მეტათ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდენ. მთელმა ქალაქმა მიიღო ნავთი—დაწყებული მოსამსახურენიდან შეძლებულ კლასებით გათავებული; ხოლო მკერავებს კი ჯერ არაფერი ღირსებიათ.

20 დეკემბერს კავშირში მოიყარეს თავი მუშებმა და მოითხოვეს ნავთისა და პურის დაჩქარებით მიღება. არის ისეთი შემთხვევები, რომ ფული დიდიხანია გადახდილი აქვთ კავშირის წევრებს, ხოლო პროდუქტები დღემდი არ მიუღიათ. საჭიროა ამ გარემოებას მიექცეს ყურადღება.

მახვილაძე.

პროვინცია

დუშეთი. 11 დეკემბერს საღამოს 9½ ს. მცხეთაში, პატარა ხიდთან, სოფელსა და სადგურს შუა ბოროტ გამზრახველნი თავს დაესხნენ გაცარცვის მიზნით დუშეთის ერობის გამგეობის წევრს ლეჟავას და შუა არაგვის პირის თემის მცხოვრებს ვასო ლადაზაშვილს. ლადაზაშვილს წაართვეს 9000 მ., ლეჟავას კი რევოლვერი „ნაგანის“ სისტემისა. ბოროტ გამზრახველნი შეიპყრეს; ისინი აღმოჩნდნენ მცხეთის მცხოვრებნი, გვარდიელი შაქრო სისაური და დავით თათარაშვილი (უკანასკნელი გვარდიის ბათალიონის სასამართლოს წევრია). დანაშაულში გამოტყდნენ. 4500 მ. ფული და რევოლვერი ზედ აღმოაჩნდათ. ისინი გაიგზავნენ დუშეთის საპყრობილეში.

— დუშეთის გვარდიის სახლში სისტემატიურათ იდგმება წარმოდგენები. წარმოდგენებს ბევრი ხალხი ესწრობა. ეს მიეწერება სოლქო შტაბთან არსებულ კულტურულ სექციისა და სცენის მოყვარეთა წრის ენერგიულ მუშაობას. ხშირათ იდგმება უფასო წარმოდგენებიც გვარდიელთათვის.

—

სალხინოს რაიონი. (სამეგრელო). ამას წინად სალხინოს რაიონის მილიციის უფროსი ბ-ნი გუდუ სხულუხია რამოდენიმე მილიციონერების თანხლებით სენაკში გაემგზავრა ჯამაგირების მისაღებად. გზაზე ისე დამთვრალიყვნენ, რომ ერთმანეთს ვეღარ სცნობდენ. სალხინოზე ერთი ვერსის მოშორებით ატეხეს სროლა, მცხოვრებნი შიშის ზარმა მოიცვა. ბოლოს გამოირკვა საქმის მდგომარეობა და ამ სროლაში დაჭრილი აღმოჩნდა სოფლის მუშა ქ. გიგილია, რომელიც დღესაც არაა მორჩენილი და წევს სამხედრო საავადმყოფოში. ასეთი მაგალითები ხშირია. ამას წინად ცხენების აშკარა ქურდი გიორგი სხულუხია, რომელსაც სამი ნაქურდალი ცხენი სახლში აღმოაჩნდა, დაიჭირეს მილიციონერებმა. მეორე დღეს ხსენებული ქურდი შუადღეზე გაიქცა მილიციის სამართველოდან. მილიციონერები მის საძებნელად დარბოდნენ სოფლებში, და ამ დროს თურმე ქურდი მილიციის უფროსის სახლში იმალებოდა. გავიდა დრო და ეს საქმეც მიაფუჩეჩეს. მაზრის მილიციის უფროსი არავითარ ყურადღებას არ აქცევს ამ გარემოებას. ამიტომ ხალხში მითქმა-მოთქმა და უკმაყოფილება. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს ვისაც ჯერ არს.

არც თემის გამგეობა დგას თავის სიმაღლეზე, სრულიად მოუმზადებელი და გამოუცდელი პირები მოექცნენ სათავეში თემს, და რა გასაკვირია, თუ საქმე ხეირიანად ვერ მიყავთ.

ჩვენ მოვითხოვთ მაზრამ სერიოზული ყურადღება მიაქციოს განაპირა კუთხეებს.

მოსავალი წელს საშუალო იყო და ამის წყალობით სიმინდი ჯერ ჯერობით 1200—1300 მანეთამდე ფასობს. მანუფაქტურის ნაკლებობა და საშინელი სიძვირეა. კოოპერატივი ამ დროს გულზე ხელდაკრეფილი უყურებს ასეთ მდგომარეობას. მოწინავე ელემენტები გულ გრილად ეკიდებიან ამ საქმეს.

ადგილობრივ სამკითხველოში თუმცა გაზეთები მოგვდის, მაგრამ მიღების თანავე სახლში მიაქვთ ზოგიერთ პირებს. ამაზე მივაქცევთ სამკითხველოს გამგეობის ყურადღებას.

„მოქალაქე“.

—

რაჭა. აღსანიშნავია იმ სატელეფონო ხაზის აშენება, რომელიც მოეწყო რაჭის მაზრაში სოფ. ჩასავალისა და მამისონის უღელტეხილთან მდებარე სოფ. ღურშევში.

ამ მიზნის განსახორციელებლათ თფილისიდან 3 ნოემბერს გავემგზავრეთ ჩვენ მთავარ მექანიკოსთან ერთად და თან წავიღეთ საჭირო იარაღები და მასალები. ჩვენ 6 ნოემბერს მივედით თუ არა ქუთაისში, მაშინვე მოგვცეს ერთი სხმარგო ავტომობილი ქუთაისის სახალხო გვარდიიდან და 7 ნოემბერს დილით ჩვენი მუშებითა და მასალებით გავემგზავრეთ ქალაქ ონში.

9 ნოემბერს, ქალაქ ონში ვიყავით სადაც ჩვენ დაუყონებლივ ვაცნობეთ ერობას ჩვენი მისვლის მიზანი, ერობამ ჩვენი დახმარების აღმოჩენა მიანდო მისდამი რწმუნებულ სტეხნიკო განყოფილების გამგეს.

ჩვენ ჯერ მთელი ჩვენი ტეხნიკური ორგანიზაციით გავემართეთ ჩასავლის მიმართულებით, სადაც 9 ვერსტის მანძილზე სოფ. წედისამდის ხაზი აშენებული იყო, მხოლოდ წედისიდან კი 25 ვერსის მანძილზე ჩვენ უნდა გაგვეგრძელებია ხაზის შენება სოფელ [illegible]—ღურშევში.

დიდი გაჭირვებისა და ენერგიული მუშაობის შემდეგ ჩვენ შევძლით აგვეგო აღნიშნული ხაზი თორმეტი დღის განმავლობაში.

ამ ხაზის აგების შემდეგ 23 ნოემბერს ჩვენ ჩამოვედით ქალ. ონში და 24 ნოემბერს დაუყონებლივ გავემართეთ ამავე ორგანოს ცნობით მამისონის უღელტეხილისაკენ,—სოფ. გლოლიდან 10 ვერსის მანძილზე ხაზის ასაგებათ სოფ. ღურშევამდის.

აქ ჩასვლისთანავე შეუდექით ერობის დახმარებით ბოძების დამზადებას.

მიუხედავათ აუტანელ ყინვებისა, ცუდი ამინდებისა და მუშა ხელის ნაკლებობის გამო, 30 ნოემბერს ხსენებული ხაზიც აგებული იყო.

იმ ღამეს, ხაზის აგება რომ დამთავრდა, რადგან გვიანი იყო, ვეღარ დავბრუნდით და ღამე გავათიეთ სოფ. ღურშევში, სადაც სცხოვრობენ ათიოდე ოსის გლეხები.

ჩვენამდის არ მოდიოდა ნამდვილი ცნობები საქართველოს შესახებ. და საერთოდ აქ არავინ მოდიოდა, გარდა ბოლშევიკებისა და მიტომ ჩაგვითრიესო.

ეხლა კი ერობა თუ უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევს ასეთ ადგილებს, გახსნის—სასწავლებლებს, სადაც ჯერ სასწავლებლის სახელიც კი არ გაგონილა, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ხალხში დამკვიდრდება წესიერი ცხოვრება.

ლ. ცხვედიანი.

წერილი რედ. მიმართ

მოქალაქე რედაქტორო! თქვენ პატივცემულ გაზეთის 264 ნომერში დაისტამბა წერილი „კვარცხანის ქარხნის შესახებ“. ამ წერილის ზოგიერთი ადგილი უმართებულოდ აშუქებს ქარხნის ადმინისტრაციისა და მათ შორის ჩემს დამოკიდებულებას ქართველ მუშებთან. სამართლის აღსადგენათ გთხოვთ ადგილი დაუთმოთ შემდეგ ჩემს განმარტებას.

ჩემთვის უცნობ ავტორს კორესპონდენციისას შეცდომაში შეჰყავს „ერთობის“ რედაქცია, როცა ამბობს, რომ „ქარხნის ადმინისტრაცია და განსაკუთრებით მე სისტემატიურად ვდევნით ქართველ მუშებს და სამსახურში არ ვიღებთ მათ“. ასეთი მისი თქმა ყოვლად უსაფუძვლოა, ვინაიდგან ჩვენს ქარხანაში დღესაც მრავალი ქართველი მუშაობს, რაშიაც დარწმუნდებით მოსამსახურეთა სიების გადათვალიერებით. კვარცხანის სპილენძის ქარხანა ეკუთვნის გერმანიის ქვეშევრდომს სიმენს და სრულიადაც ხელსაყრელი არ არის მისთვის იხელმძღვანელოს რაიმე ნაციონალური სიმპატიებით, გარდა ერთისა. როგორც ყველას მოეხსენება ქარხანა მუშაობს საქართველოსთვის და თვით პატრონი ამ ქარხნისა, როგორც ძალიან კარგად იცის ბევრმა მრეწველმა, ენათესავება ქართველებს და, მაშასადამე, ქარხანაში ვერც ერთი ადმინისტრატორი ვერ წავა წინააღმდეგ ბ-ნ სიმენსის ინტერესებისა, ე. ი. ვერ გაბედავს უგულებელ ჰყოს ქართველი მუშები და არ მიიღოს იგინი სამუშაოდ. სიმენსის ქარხნის კარები ღიაა ყველა ეროვნების მუშებისათვის, ოღონდ კი ისინი აკმაყოფილებდენ ქარხნის პირობებს, ე. ი. შეგნებულად ეკიდებოდენ საქმეს და ჰქონდეთ შესაფერი ცოდნა და გამოცდილება. ქარხნის ადმინისტრაცია სრულიადაც არ არის დამნაშავე, თუ, მაგალითად, მრეწველობის განუვითარებლობის გამო, ვერ პოულობს ბევრ ქართველ მუშას მადაროებისა და თვით სპილენძის ჩამოსხმისათვის. სამუშაოს ამ დარგისათვის გამოცდილი ქართველი მუშები ძალიან ცოტაა და ამიტომ ამ საქმეზე ვაყენებთ ხოლმე სპარსელებს, რუსებს, თურქებს და სხვა. სამაგიეროთ, ხუროები, სტოლარები, ელექტრომონტერები და სხვა თითქმის ყველა ქართველია.

ამ საერთო ხასიათის შენიშვნის შემდეგ, არ შემიძლიან არ უჩვენო ბ-ნ კორესპონდენტს შეცდომები პირადად ჩემს შესახებ. წინააღმდეგ მისის რწმუნებისა ვითომც პირადად „მე სისტემატიურად ვდევნიდე ქართველ მუშებს და მათ სამსახურში არ ვიღებდე“, უნდა განვაცხადო, რომ **მუშების მიღება ჩემი საქმე არ არის.** ამას განაგებს ქარხნის დირექცია უშუამავლოდ. ჩემი, როგორც ბათომის კონტორის გამგის, საქმეა მხოლოდ შემოწმება იმ ბარათებისა, რომლებიც ეძლევათ ქარხანაში წამსვლელ-მომსვლელებს. ასეთივე უმართებულობაა კორესპონდენციის მხრივ იმის მტკიცება, ვითომც „მე წინადაც ვსდევნიდი ქართველ მუშებს“ და „საქართველოში ჩამოსვლისთანავე დატყვევებული ვყავი, როგორც არაკეთილსაიმედო კაცი“.

მე მოვედი ბათომში ჯერ კიდევ 1885 წ. ლ., ვცხოვრობ აქ თითქმის განუწყვეტლივ, ხოლო კვარცხანის სპილენძის ქარხნის რწმუნებულად დავინიშნე 1895 წელს, თავის დღეში არა კეთილსაიმედობისათვის დაჭერილი არა ვყოფილვარ და ეს ამბავი პირველად მესმის უსახელო კორესპონდენტისაგან. მთელი ბათომი მიცნობს და ეს 35 წელიწადია ჩემს მოღვაწეობას ხედავენ, როგორც ქართველი ქრისტიანები, ისე ქართველი მუსლიმანები.

მიიღეთ ჩემი ღრმესი პატივისცემა

ბ. კამჩენკო.

ბათომი, 24 ნოემბერი, 1920 წ.

რედაქტორი **ლევან ნათაძე**

განცხადებანი

უფრ. გიმნაზ. დამთავრებული და გამოცდ. მათემატიკის მ. სწავლებელი ა. მაჩაიძე

ამზადებს

ყველა საშუალო სასწავლებლის 1—8 კლ. შესასვლელად, აქვე არსდება საღამოს ჯგუფი ოთხი კლასის მოწმობის მისაღებად, ჩაწერა 9—12 ს. 4—6 ს. პლეხანოვის და ალექსის ქუჩ. კუთხე № 25/5. (4091—4—1)

დავკარგე

სალექციო წიგნაკი—მატრიკული № 28 და ლექციაზე შესასვლელი ბილეთი № 28 მოცემული თფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან არსებული საპედაგოგიო ინსტიტუტიდან ითვლება გაუქმებულად. ევლამპია ქუქალია. (4094—1—1)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი (სპეც. ფილტვების, გულის და კუჭნაწლევების ავადმყ.) რენტგენის და ელექტრონული კაბინეტი. კრილოვის ქ. სახ. № 5, გოკიელოვისა, ბინა № 3, მიღება დილის 11—12 საათ. და საღ. 4—7 საათ. ტელეფონი 12—46. 12—იანვ.

ქალი ექიმი

მარიამ ლუკას ასული

თოფურიძე კანიევი

იღებს საბებიო და ქალის სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათ. ველიამინოვის ქ. № 10, ტელეფ. 12—66. (2 იანვ.)

ექიმი **[illegible]**

სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება „606“ და „914“ ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 [illegible] ქ. № 33. 7 იანვ.

კბილის ექიმი

პ. ტ. ლორის-მელიქოვ-ჯიბლაძისა

ღებულობს კბილის ტკივილით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდე, ანასტასიევის ქუჩა № 13, ტელეფონი 3—63

ქირურგიული და ქალთა სნეულების

საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

ბოკერიასი

პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. № 141, პროჟექტორ „აპოლოს“ მახლობლად ტელეფ. № 5—97 დასაწოლ ავადმყოფებს და ფეხმძიმე ქალებს იღებენ ყოველ დროს სრული პანსიონით. (28—დეკ.)

სამკურნალო

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

მიხეილ გედევანიშვილისა

დილით 12—2 საათ., საღ. 6—8 საათ. არის საწოლები. ყორღანოვის ქ., 28, ტელეფ. 7—91 (1—იანვ.).

ექიმი **ა. დ. კეკელია**

სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი, ავადმყოფების მიღება: ყოველ დღე დილის 9—11 ს. და საღ. 5—7 ს. მისამართი: მიხეილის პრ. № 116, სასტუმრო „ნოე“ პირდაპირ. ტელეფონი 14—28. 3 იანვ.

კერძო სამკურნალო

სპეციალურად ვენერიულ, საშარდე ორგანოების, სიფილისით და კანის სნეულებით ავადმყოფთათვის

ექიმ

ე. მ. მძინარიშვილისა

შეშხაპუნება „606“ და „914“. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 9—2 ს. და საღ. 4—8 ს. მისამართი—კუთხე პლეხანოვის (მიხეილის) პროსპექტისა და კირკის (კიროჩნი) ქუჩ. № 22. ტელეფ. 10—87. (28 დეკ.)

ექიმი

ნ. გ. არუთინოვი

სპეციალურათ სიფილისი (606 და 914) კანის ვენერიული (ტრიპერი), სქესობრივი უძლურობა [illegible] (საშარდე მილის). ახალი-ზებუთოვის ქ. № 5. სასახლის უკან, პეტრე დიდის ქ. ზევით. პირდაპირად). მიღება დილით 10—11 ნახ. ს საღ. 5—7 საათამდე. 15—იანვ.

ექიმი

ე. ი. კალანდაძე

ღებულობს შინაგანი ავათმყოფობით დილის 8—12 საათამდე, ვენერიულს, სიფილისით (შამ. „606“ და „914“), ბუშტის და საშარდის ავათ. 5—7 საათ. საღამ. გუნიბის ქ. № 6, მოსკოვის ქ. დასაწყისი, ზემელის აფთიაქთან ახლოს, ტელეფონი 18—95. (7—იანვ.

ექიმი

ი. პ. ხანდამოვი

სპეციალურად სიფილისი („914“ და „606“ შეშხაპუნება) კანის, ვენერიულის და საშარდო-სასქესო ავათმყოფობანი ავათმყოფების მიღება დილის 12—2 ს. და საღამოს 6—8 ს. საპიორის ქ. № 35 სამინისტროთა შენობის ახლო (ყოფილი კადეტთა კორპუსი). (1 იანვ.)

ქ. შ. პართანოვი

სპეციალურად კანისა და ვენერიულ სნეულებები (სიფილისი „606“ და „914“ შეშხაპუნება). მიიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. ქალები 2—3 ს. სურამის ქ. № 9, ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (23—დეკ.)

კბილის ექიმი.

ნიკოლოზ თეიმურაზის ძე

ხორავა

იღებს კბილით ავადმყოფებს ყოველ დღე გარდა კვირა უქმე დღეებისა დილის 10—2 საათამდე, საღამოობით 4—7 საათამდე. ვერის დაღმართი (ოლღას ქ. კუთხეზე) სახლი № 1. მელიქ-აზარიანცისა, ბინ. № 20. (5 იან.)

რუსთაველის პრ. № 40 სტუდენტთა კოოპერატივი

ოფიც. ეკონ. საზოგ. გვერდით.

ლესვა

სამართებლების დანების ქირურგიული იარაღების და სხვ. ყოფილი ინგლისური მაღაზიის გავისტის მოხელე, მოსკოვის ქ. № 34. (4095—1—1)

სახლი

მამული, აგარაკი, ვისაც სურს

იყიდოს ან გაყიდოს

მიმართოს

ინტელიგენტთა ჯგუფს

რომელსაც მოწყობილი აქვს დიდი კლიენტურა. დავითის ქ. № 3. ბინა 2, რუსთაველის პროსპექტის ახლო. (4053—2—2)